ცნობის ფურცელი

№ 1929 ხუთშაბათი, 19 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1929

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ"-„მოამბის" ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

განცხადება.

ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ამით ხუწყებს ბ.ბ-თ ამომრჩევლთ, რომ ტფილისის ქალაქის საბჭოს **ხმოსნების არჩევნები** პირველ საარჩევნო ნაწილში დანიშნულია 1902 წლის 22 სექტემბრისათვის «ტფილისის სობრანიე»-ს საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე.

საარჩევნო კრებაში შესასვლელ ბილეთების მიღება გამგეობაში შეიძლება 21 სექტემბრამდე, ხოლო არჩევნების დღეს «ტფ. სობრანიე»-ს სადგომში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე, რომელ ხაათის შემდეგაც აღარავის მისცემენ ნებას კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს.

(ნ. 3—1) ქალაქის თავის მოადგილე **მ. შესტაკოვი**

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის სავადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები.** სასწავლებელი საგნები:

ანატომია; ფიზიოლოგია; ექიმები: გ. ვ. სობოლევსკი, ე. გ. ფეოდოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა; პრაქტიკული მეცადინეობა; ექიმები: ა. გ. მაღალაშვილი, გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—9)

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—2)

---

27 მიმდინარე სექტემბერს,

დილის 10 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში გაიხსნება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

განსახილველად და გადასაწყვეტად შემდეგის საკითხებისა:

1) ბ. ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა მიმდინარე წლის 23 აგვისტოს თარიღით ბანკის მოგებათა განაწილების წეს-რიგის შესახებ;

2) ცნობა ბანკის დამფუძნებელთათვის ფულის დაბრუნების ახალის წესის შესახებ;

3) ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოგებათა განაწილება;

4) ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთათვის **უმაღლესად** ნაბოძების 40 ათასი მანეთის მოხმარება;

5) ბანკის დამფუძნებელთა ფულიდან შემოწირულების დანიშვნა;

6) **მისი იმპერატორებითი უმაღლესობის** დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის მფარველობის ქვეშ მყოფის ისტორიულ და თანამედროვე კოსტიუმების საერთაშორისო გამოფენის მთავარ კომისარის წერილი;

7) თავად-აზნაურთა სახლის მმართველობის თავმჯდომარის არჩევა;

8) შუამდგომლობის აღძვრა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურთა მორიგი კრებები მარტის მაგიერ იანვარში ინიშნებოდეს.

ვაუწყებ ამას გუბერნიის თავად-აზნაურებს და ვსთხოვ მათ მობრძანდნენ საგანგებო კრებაზე.

(ნ. 3—2) **გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედ:თა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კროატები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შრომა"

ჰყიდის ხეხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან, მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—7)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი.

(ტელეფონი № 617)

დღეს, ხუთშაბათს, 19 სექტემბერს, ხარკოვის დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმედ. და 7 სურათ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები: გაშინსკაია, დობჟანსკაია, ბაუერ, სკორუპსკაია; ბატონები: ლენსკი, პოლუიანოვ, სერგეევ, კაზიმირო, პეტროვ და სხვანი. **ბალეტი** გაიმართება ბალეტმეისტერის მენაბენის მიერ. **კოსტიუმები** და სხვა მოწყობილება საკუთარს სახელოსნოში მზადდება. ახალი **დეკორაციები** დახატულია მხატვარის ბ. ნოვაკისაგან. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღია დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: პარასკევს, 20 სექტემბერს დადგმულ იქნება **„პიკოვაია დამა"**.

კვირას, 22 სექტემბერს, გაიმართება პირველი იაფ-ფასიანი საოპერო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება **„ფაუსტი"**.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—3)

ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ ის **გასცემს იჯარით ქვისა, აგურისა, სადურგლო და სხვა სამუშაოებს სემინარიის ახალი შენობისათვის;** განცხადებები მიიღებიან ამ სამუშაოებზე სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადებისა. იგივე მთავრობა მიიღებს განცხადებებს აგრეთვე სხვა-და-სხვა **მასალის ჩაბარებაზე, მაგალითად, ქვის, აგურისა, კირის, ხის მასალებზე და სხვა მასალებზე.**

(3—406—2) **მღვდელი ექ. ქაოშვილი.**

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ტელეფონი 450.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—9)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. დეპეშამ გვაცნობა, პირველმა მინისტრმა კომბმა პატარა ქალ. მატაში საგარეო პოლიტიკაზე ილაპარაკაო. ეხლა გაზეთებიდან სჩანს, კომბი საშინაო საქმეებსაც შეეხებია.

პირველმა მინისტრმა ჯერ მიულოცა მატელ რესპუბლიკელებს: მომილოცავს, რომ „რეაქციის ბატონობა სამუდამოდ მოიცილეთ თავიდანაო". და მერე დააჯურათა, თუ რანაირი ვითარება მიიღო საზოგადოებრივმა აზრმა ბოლონდელ საკანონმდებლო არჩევნების დროს. მინისტრმა სთქვა: „საფრანგეთს ეხლა ორნაირი საფრთხე ემუქრის, ორნაირი მტერი ჰყავს: ნაციონალიზმი და კლერიკალიზმი. ნაციონალიზმის სახელს დიქტატურა ამოჰფარებია, კლერიკალიზმი კიდევ აშკარად ცდილობს სამოქალაქო საზოგადოება დაიმონაოს. აი სწორედ ამ ორ ნაირ საფრთხესა და ორნაირ მტერს ებრძოდნენ არჩევნის დროს რესპუბლიკელები. ამ მტრების დანახვაზე, ყველანი, ვინც კი პალატაში ნამდვილი რესპუბლიკელი იყვნენ, გულწრფელად შეერთდნენ. ეხლანდელი სამინისტროც ამავე აზრითაა არჩეული".

შემდეგ კომბმა ილაპარაკა, თუ რა პროგრამას მისდევს სამინისტრო კონგრეგაციების საქმეში:

„ტრიბუნიდან არა ერთხელ გამოვაცხადეთ, ჩვენის სარწმუნოებრივ პოლიტიკის საფუძვლად კონკორდატი (რომის პაპისთან შეთანხმება) იქნებაო, მაგრამ ამაოდ. მაინც გვაბრალებენ, სარწმუნოების მოსპობას ცდილობთო. რა მიზეზით გვწამებენ ამას? მარტო იმ მიზეზით, რომ კონგრეგაციებს კანონების ასრულება მოვსთხოვეთ. მართალია, კონგრეგაციების მოსარჩლეების ჰკუით, კონკორდატს არაფერი კანონიერი ძალა აღარა აქვს; უეჭველია, აღარც საეკლესიო საქმეებში აქვს მნიშვნელობა, იმიტომ რომ კონკორდატის ძალით კონგრეგაციებს უფლება არა აქვთ თავისუფლად იმოქმედონ. მაგრამ ჩვენთვის, როგორც ყველა წინანდელ მთავრობისათვის, კონკორდატს ისევ ძალა აქვს, როგორც კათოლიკეთა სარწმუნოებისათვის დადებულ კანონს. ვიდრე კონკორდატი არსებობს, ჩვენ და სამღვდელოებაც მოვალენი ვართ ავასრულოთ მისი წესები. ჩვენ თითონაც შევასრულებთ კონკორდატს და ამასთანავე მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი სხვებსაც შევასრულებინოთ. რამწამს პარლამენტის სესია დაიწყება, დავამტკიცებთ, რომ ჩვენ სიტყვას ძირს არ დავსცემთ. კონკორდატი სრულებითაც არ დარღვეულა იმით, რომ პარლამენტმა კანონი გამოსცა კონგრეგაციების თაობაზე, რადგანაც ეს კონგრეგაციები კონკორდატის შემდეგ დაარსდნენ და თავიანთ სოციალური მდგომარეობით მარტო სამოქალაქო უწყებას ექვემდებარებიან; სხვაგნებურს არც არავის აქვს უფლება ამ საქმეში გაერიოს".

დასასრულ პირველ მინისტრმა სთქვა:

„ჩვენის მოქმედების პროგრამა თავის დროზე პალატებს გამოუცხადეთ. საჭიროდ არ მიგვაჩნია იმისი გამოცვლა. დღესაც იმ აზრისა ვართ, რომ ეს პროგრამა საკმაოა რესპუბლიკელთა ჯგუფების შესაერთებლად. კავშირს კიდევ ის აზრი აქვს, რომ ჩვენი სახელმწიფო კლერიკალთა რეაქციის თავხედობისა და ნაციონალისტების ხრიკებისაგან დაიხსნას და საჭირო დემოკრატიული რეფორმები მოახდინოს".

ინგლისი. „დეილი მეილ"-ს გაუგია: სამხრეთ-აფრიკის ახალ კოლონიებს 100 მილ. გ. სტ. დამატებით გადასახადს შეაწერენ ომის ხარჯების შესავსებადაო. ამ ვალს ნელ-ნელა შეავსებენ. მთავრობა ჰფიქრობს პირველში, იქნება, 50 მილ. გ. სტ. სესხის ქაღალდები გამოსცეს; მაგრამ ერთბაშად გამოცემას კი

არა ჰფიქრობს. ჯერ მოიცდის, სანამ კოლონიების შემოსავალი შესამჩნევად არ გადააჭარბებს გასავალს; ეს კიდევ სამ წელიწადზე ადრე ვერ მოხდება. ოქროს მაღნები 10%-ით მეტს ხარჯს გადაიხდიან, სინამ ომის წინად იხდიდნენ, შემდეგ სამხედრო ხარჯების დასაფარავად ახალ მადნების კონცესიებს შეეწერებათ გადასახადი. თუ დინამიტზე დადებული ბაჟი გაუქმდა, ოქროს მრეწველობას სწორედ იმდენივე ხარჯი შეეწერება.

◆ წარსულ შაბათს ქალ. ლიდსში დიდი დემონსტრაცია მოუხდენიათ სასკოლო კანონ-პროექტის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში 100-ათასზე მეტს სულს მიუღია მონაწილეობა. ხალხი სხვა-და-სხვა ქალაქებიდან ყოფილა მოსული. ამოდენა ხალხი ქალაქის საბჭოს შენობიდან დიდებულის პროცესიით გაემართა ერთ გაშლილ მოედნისაკენ, სადაც პლატფორმები იყო გამართული ორატორებისათვის. მრავალი სიტყვა წარმოითქვა და ბოლოს ყველა პლატფორმასთან ერთნაირი რეზოლიუცია დაადგინეს. რეზოლიუცია ჰგმობს მთავრობის კანონ-პროექტს იმ საბუთით, რომ ეს კანონ-პროექტი „სასკოლო კომიტეტებს აუქმებს; სკოლების შესანახად ხალხი ადგილობრივ და სახელმწიფო გადასახადებს იხდის, ახალი კანონ-პროექტი კი ამავე ხალხს უსპობს უფლებას სკოლებს პირდაპირი კონტროლი გაუწიოს; თუ ეს კანონ-პროექტი დამტკიცდა, საერო განათლების წარმატება, განვითარება და თავისუფლება დასუსტდება; დასასრულ კანონ-პროექტის ძალით ყველგან ხალხმა ხარჯი უნდა გამოიღოს და ამით სკოლებში კლერიკალების ბატონობას ხელი შეუწყოს."

◆ ირლანდიელ ნაციონალისტ დეპუტატების მეთაურებს ჯონ რედმონდსა და ვილიამ ო'ბრაინს წერილით გამოუცხადებიათ, თანახმანი ვართ საადგილ-მამულო კონფერენციაში მონაწილეობა მივიღოთო. კონფერენცია კაპიტან შოუ-ტეილორის თაოსნობით იმართება—ეს ხომ ვიცით. სამაგიეროდ ლენდ-ლორდების პარტიის ორს გავლენიან წევრს ჰერცოგ აბერნკარნს და ლორდ ბარიმორს უარი შეუთვლიათ. ლორდ ბარიმორი თავის წერილში, სხვათა შორის ამბობს: გაზეთებში რომ შოუ-ტეილორის წერილი დაიბეჭდა, იმის გარდა მე სხვას არარავის მიუწვევივარ კონფერენციაზე. თუნდაც მივეწვიე, მაინც მონაწილეობას არ მივიღებდი, რადგანაც კონფერენცია კერძო კაცის მოთავეობით ხდება; ორიოდე კაცის გარდა-კი, არც ლენ-ლორდებს და არც თუ არენდატორებს არც მოუთხოვნიათ კონფერენციის გამართვა და არც მოუწონებიათ კაპიტან შოუ-ტეილორის აზრი. ამნაირ კონფერენციას არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან, ზარალი-კი დიდი მოჰყვებაო. ჯონ რედმონდი ეხლავე აცხადებს: ლენდ-ლორდები შეშინდნენ და შერიგება მოინდომეს. როგორც ბრძოლის დროს ჯარი შერიგების ნიშნად თეთრ ბაირაღს გაჰშლის ხოლმე, ისე ლენდ ლორდებმაც შერიგების ნიშნად კონფერენციის გამართვა განიზრახესო. ამის შემდეგ მე, ლორდ ბარიმორმა, როგორღა მივიღო მონაწილეობა კონფერენციაშიო.

ამას წინად გაზეთებში ეწერა, ირლანდიელ უნიონისტების მეთაურმა ცნობილ როსელმაც გამოაცხადა: თანახმა ვარ კონფერენციაში მონაწილეობა მივიღოო. როსელს კონფერენციის თაობაზე ერთ თავის მეგობრისათვის წერილიც მიუწერია. როსელი სწერდა, თურმე:

„ირლანდიის საადგილ მამულო საქმეს არა ეშველა-რა. ასი წლის განმავლობაში ირლანდიაში დაუსრულებელი შფოთია და არეულობა. მთავრობა ასჯერ ეცადა ძალითა და სასტიკობით ირლანდიის ხალხი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერას გახდა. ირლანდიის მუდმივ გაძნელებულ სენის განსაკურნებლად მთავრობამ ეხლაც განსაკუთრებული კანონები გამოსცა და გაძლიერებული დაცვის წესები შემოიღო, მაგრამ მთავრობის უებარ წამალს არც კვლავ გაუჭრია და ვერც ეხლა გასჭრის. ამასობაში კი ირლანდია ლამის მთლად დაიღუპოს და მიწასთან გასწორდეს. როდემდის უნდა იყოს ასე? ლენდ ლორდებმა ორში ერთი უნდა არჩიონ: ან საშვილიშვილოდ ომი გამოუცხადონ არენდატორებს, ან როგორმე მოურიგდნენ და თითონაც მოისვენონ და ხალხიც მოასვენოს. სწორედ ამ აზრით ვიღებ მონაწილეობას კონფერენციაში: ეგები საწყალ ირლანდიას ეშველოს რამეო".

◆ კაპის კოლონიაში სამხედრო სასამართლოებმა ბევრი მეამბოხე ბური გაასამართლეს და სასტიკი სასჯელებიც გადაუწყვიტეს. ინგლისის მთავრობამ ამ განაჩენების შესასწავლად და გასასინჯად განსაკუთრებული კომისია დანიშნა. კომისიას განაჩენები გაუსინჯავს, უცვნია ბევრს კაცს უნდა ეპატიოს სასჯელიო და ეხლა ამ კაცების სიებს ადგენს თურმე. პირველ სიაში კომისიას 113 კაცი ჩაუწერია და მთავრობისთვის უთხოვნია, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთო.

იტალია. პირველ მინისტრს ცანარდელის უთქვამს გაზეთ „იტალი"-ს თანამშრომლისათვის: პარლამენტის მომავალ სესიის დროს მთავრობა კიდევ შეიტანს კანონ-პროექტს ცოლ-ქმართა გაყრის თაობაზეო. მთავრობა არც მარილის ბაჟის დაკლებაზე იღებს ხელსა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ზოგიერთი რამ უნდა გამოიკვლიოს ამ საქმის თაობაზეო.

ამ დღეებში ქალ. ბოლონიაში ცნობილ პროფესორ ექიმ მურის სიძე, გრაფ ბონმარტინი მოჰკლეს. მთელი იტალიაა და ეს საზარელი ბოროტ-მოქმედება. საქმე ასე ყოფილა.

გრაფს ამას წინად თავისი ცოლ-შვილი ვენეციაში ზღვაში საბანებლად წაუყვანია, თითონ-კი ორიოდე დღით ქალ. ბოლონიაში წასულა; ამ ქალაქში საკუთარი ბინა ჰქონია. პოლიციას შეატყობინეს, საშინელი სუნი გამოდის გრაფის სადგომიდან, სადგომიც დაკეტილიაო. კარები გასტეხეს და იქვე ბონმარტინის გვამი იდვა, თითქმის მთლად გახრწნილი. მოკლულის ცარიელ საფულე ქისაში წერილი იპოვეს. ქალური ხელით იყო დაწერილი, გრაფს რანდე-ვუს უნიშნავდნენ. საწოლ ოთახში ლოგინი არეული იყო. კამოდზე შამპანიურის ბოთლი იდგა დაცალიერებული და ორი ჭიქა; იქვე ქალის ტანისამოსიც იპოვეს. პირველად პოლიციამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა, მით უმეტეს, რომ არავინ იცოდა, რა დღესა და საათს მოჰკლეს გრაფი. ხალხი ათასნაირად ჰფიქრობდა, ზოგი როგორა ჰხსნიდა ამ საიდუმლოებით სავსე ამბავს, ზოგი კიდე როგორა. წარსულ კვირას-კი გამომძიებელთან მოკლულ გრაფის სიმამრი პროფესორი მური მისულა და გამოუცხადებია: ჩემი სიძე ჩემმა ღვიძლმა შვილმა, ადვოკატ ტულიო მურიმ მოჰკლაო. პროფესორმა ამავე დროს თავის ვაჟი-შვილისაგან მიღებული წერილიც წარუდგინა გამომძიებელს. ტულიო სწერდა მამას: ჩვენ სიძე გრაფ ბონმარტინისთან მიველ და გავუჯავრდი, ცოლს ცუდად რად ექცევიო. მოგვივიდა ჩხუბი; გრაფმა დანა შემომიქნია, მეც ხელი გამოვილე და ბონ-მარტინი მოვკალი. მოკლულის გვამის გაჭრასაც დავესწარი, მერე-კი ბოლონიიდან სხვაგან წასვლა ვარჩიე.

ამის შემდეგ გამოძიებამ აღმოაჩინა, ეს საქმე უფრო რთული ყოფილა, და უფრო მეტი ხალხიც რეულა გრაფის მოკვლაშიო. ჯერ ერთი რომ ტულიოს ამხანაგიც გამოუჩნდა: ხირურგ-ექიმი ნალდი გამოტყდა, მურის საყვარელმა მკერვალმა ქალმა როზინა ბონეტიმ თითონ გრაფის მეუღლეს სადგომის გასაღები გამოართვა და ჩვენ გადმოგვცაო. მე და ტულიო, ორნივ ერთად შევედით გრაფის სადგომშიო. ტულიო მურიმ—დევის ღონე აქვს, თურმე—გრაფი ხელში დაიჭირა, მოკვლით კიდეჲ მე (ნალდიმ) მოვკალიო. ნალდი გამოტყდა ეგრეთვე: გრაფის საფულე ქისაში 5000 ლირა ვიპოვეთ, იქიდან 1600 ლირა მე მივიღე ჯილდოდაო.

ჰფიქრობენ, ტულიო თავის დას, გრაფის მეუღლეს ჰყვარობდა და ამიტომ მოჰკლა თავისი სიძეო. თითონ გრაფის მეუღლეც ურევია ამ ბოროტ-მოქმედებაშიო. დაცა და მისი ძმა ტულიოც ორივე დაუპატიმრებიათ და ბოლონიაში მიუყვანიათ.

ახალი ამბავი

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს იუსტიციის მინისტრისაგან დეპეშა მოჰსვლია, რომლითაც იუწყება, რომ ამ წელს **კავკასიაში ჩამოსვლა არ მისურნდებათ.**

◆ 22 სექტემბრისათვის დანიშნულია საზოგადო კრება პირველ საარჩევნო ნაწილის **ამომრჩევლებისა.** კრება მოხდება „საზრანიეს" საზაფხულო სადგომში. პირველ საარჩევნო ნაწილში სულ 952 ამომრჩეველია. აქედან დღევანდლამდე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ბილეთი ქალაქის გამგეობიდან გაუტანია 104 ამომრჩეველს, მათ შორის ქართველს მხოლოდ 6 კაცს. ბილეთების აღების ნება ამომრჩევლებს 22 სექტემბრამდე აქვთ.

◆ ხვალ ქალაქის გამგეობას ბჭობა ექმნება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება შესაძლებელი **ქალაქის ზვთლბათა კომიტეტის კომისიად გარდაქცევა.** მიწვეულნი არიან აგრეთვე: ხმოსანნი-იურისტები, ნაფიცი ვექილები ჩემესოვი, შევალიე და ქალანთაროვი.

◆ 17 სექტემბერს სამეურნეო საზოგადოების სხდომაზე ზოგიერთმა დამსწრემ, სხვათა შორის, განაცხადა, რომ თელავისა და სიღნაღის მაზრების იმ ადგილებში, სადაც მდინარეებისა და ხევების პირად ვენახებია, წყალს მიაქვს მიწა და ვენახებიო. ამის გამო ლაპარაკი ჩამოაგდეს კრებაზე **შუამდგომლობა** აღძრან იმის შესახებ, რომ მემამულეებს ნება მიეცეთ სახელმწიფო ტყეებიდან ხის მასალა გაიტანონ ვენახების ნაპირების შესამაგრებლად. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

◆ დღეს ქალაქის საქმეთა საკრებულო განიხილავს ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებას, რომელიც ამომრჩეველთა სხვა-და-სხვა უბანში **ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების შეეხება.** გარჩეული იქმნება აგრეთვე: ნ. ი. თამამშევის საჩივარი ამ საგნისავე შესახებ; ახალქალაქის რწმუნებულთა დადგენილება, რომლითაც 1155 მანეთისა და 26 კ. სესხს ითხოვენ ახალქალაქში საქონლის საკლავის გასამართავად, და ამ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქ სიღნაღისა.

◆ ქალაქის სასარგებლოდ ასაკრებ **სააქციზო ხარჯების გაწერად** გამგეობას ყველაფერი დაუმზადებია და დღეს მოწვეულნი არიან ტრაქტირების მოვაჭრენი, რომ ხარჯების გამწერნი ამოირჩიონ. სულ უნდა აირჩეს 40 კაცი და ამათ უნდა გააწერონ ზემოხსენებული ხარჯები. ქალაქს წელს წარსულ ხარჯებზე ხუთასი თუმანი მეტი დაუნიშნავს გასაწერად და ეს ზედ-მეტი ხარჯი განსაკუთრებით მაგარ-სასმელების გამყიდველებს უნდა შეეწეროთ. სულ უნდა გააწერონ წელს 67.390 მანეთი.

◆ „გელიოს"-ის საზოგადოების წარმომადგენელი ს. ზ. მირზოევი მეორე ფირმის წარმომადგენლიც ყოფილა—სტამბოლელ ბანკირის კუტო და ამხ. ამ ბანკირს მოუსურვებია ტფილისის ქუჩების მოკირწვლის საქმე თავისს თავს მიიღოს. ბ-ნ მირზოევს განუცხადებია გამგეობისათვის, რომ ჩემი რწმუნე-

---

ფელეტონი

წერილი ინგლისიდან

ბურის გენერლები ინგლისს ეწვივნენ. ბოტა, დელარეი და დევეტი წარსულ შაბათს ჩამოხტნენ საუტჰამპტონში. დიდძალი ხალხი დახვდა სტუმრებს, ამასთან ყველანი აღტაცებით ეგებებოდნენ. ჟენერლებმა ინახულეს მეფე, ჩემბერლენი და ლორდ კიტჩენერი, ოთხშაბათს ლონდონიდან ისევ ჰოლანდიაში დაბრუნდნენ. ლონდონში ყოფნის დროს ამათ სასტუმროს აუარებელი ხალხი ეხვეოდა, როგორც ჩამოსვლის დროს, აღტაცებას უცხადებდა. აი, ესე დაუხვდნენ იმ ბოტას, დელარეისა და დევეტს, რომელთაც ომის დროს მეტად უდიერად იხსენიებდნენ. „The Standard", „The Spectator" და სხვა ამგვარი გაზეთები იმათ კაცის მკვლელებად და ყაჩაღებად ჰნათლავდნენ, [illegible] მეტი შეიძლება!

რისთვის მოვიდნენ ეს კაცები? რას [illegible] გულმხურვალედ [illegible] ტაშის-ცემა [illegible] გამოწვევით! იმათ [illegible] ერისათვის, რომლის [illegible] განმანადგურებელ [illegible] ომის [illegible] როდი [illegible] დახმარებას ყველისგან, რათა ეს განადგურებული ცხოვრება რამე ნაირად ფეხზედ წამოაყენონ.

როგორც გამოიანგარიშეს, ომის დროს ბურთა ბავშვი და დედაკაცი უფრო მეტი ამოსწყდა, ვიდრე მამაკაცები. აი, ამ ომის გმირნი—ლორდ კიტჩენერი და რობერტსი ინგლისის პატრიოტებმა საერო გმირებად გადააქციეს. ვერაფერი სასახელოა იმგვარ გმირების ყოლა, რომელნიც არაფრით არ განირჩევიან ყასბებისაგან. ხალხი ამ გმირებს ტაშის ცემით ეგებება, ტაშის ცემითვე ეგებება იმათ მოწინააღმდეგეებს—განა ცხოვრების ამაზე უფრო გაუგებლობა-ღა შეიძლება? მაგრამ „ცხოვრების გაგებას" ხომ თვით-ცნობიერება მოსდევს, ხოლო თვითცნობიერებას—კიტჩენერებისა, რობერტსებისა და მილნერ-ჩემბერლენების გაქრობა.

ეს ვაჟბატონები გაიძახიან, ქვეყნის გასანათლებლადა ვართ მოწვეულნიო. კაი განათლებაა, თქვენმა მზემ, 39,000 კაცის ამოწყვეტა-ამოჟლეტა. აქედან 4,000 მამა კაცი იყო, 15,000 ბავშვი და 20,000 დედაკაცი! აი, რა მსხვერპლი შესწირეს ამ „ცივილიზაციის" დამნერგველებმა სამხრეთ-აფრიკაში ბრიტანიის მოლოხს! მიუმატეთ ამას დახოცილ, დაჭრილთა, გაუბედურებულ ინგლისელთა რიცხვი და თქვენ თითონ მიხვდებით, რამდენი ბოროტება ჩაიდინეს. მერე რაღა?!

* * *

ვინ არ იცის სერჟანტ შერიდანის საქმირო საქმეები? ვის არ გაუგონია ლორდ ჰამილტონის გმირობა? პირველმა ძროხებს კუდები დასჭრა და განგებ ირლანდიელს გადააბრალა, რომ იმისთვის ტყავები დაეტოვებინებინა სასამართლოს. შერიდანმა რამდენიმე დანაშაულობა ჩაიდინა და ამ დანაშაულობათათვის სხვები დაასჯევინა უსამართლოდ. პოლიციელი (შერიდანი პოლიციელი იყო) ტყუილს როგორ იტყვისო, ჰფიქრობდნენ მსაჯულნი... ჰამილტონმა კიდევ ისედაც დამშეულ ინდოელებს რამდენიმე ათასი მანეთი დაადვა ხარკად. ყველა ეს არ ჩასთვალეს „უზნეო საქმედ" და არც იფიქრეს იმათ წინააღმდეგ ჯვარით ხელში გალაშქრება.

ზნეობის მეთვალყურეებმა სხვა საბრძოლველი საქმე გამოსძებნეს. გაიგეს, რომ ლონდონში პროსტიტუციაა და განუზრახავთ იმის მოსპობა. ვესტმინსტერის ქალაქის საბჭოს უკვე გაუუქმებია 60 გარყვნილების სახლი! იმას მიუმართავს „სახალხო ზნეობის განმავრცელებელ ლონდონის საბჭოსათვისაც", რომლის თავმჯდომარედაც ეპისკოპოსი დრ. ინგრემია, და შეუთვლია: „სწორედ შესაძლებელია მოისპოს პროსტიტუცია ღ ამისთვის საჭიროა მხოლოდ ჯვაროსანთა ომი იმის წინააღმდეგაო!" ამ საზოგადოებაში, რომელსაც ზნეობის გავრცელება და გაუმჯობესება აქვს საგნად (სახელად საზოგადოებას ჰქვიან: „The London Council forthe Promotion ot Public Morality"), წევრებად ბრძანდებიან: დრ. ადლერი, დრ. კლიფფორლი, ქ-ნი კრეიტნი, ბ-ნი და ქ-ნი პრაის ჰოგ, ქ-ნი შელდინ არბოს, ბ-ნი პერსი ბონ ტინგი, ჰერცოგინა ადელინა ბედფორლი, ქ-ნი კევენდიში და სხვანი, რომელთაც სრული ნება აქვსთ ხალხის ზნეობაში ექვი შეიტანონ! ეპისკოპოს—თავმჯდომარეს უნდა კანონმდებლობით ებრძოლოს ამ საშინელ სენს, რომელსაც ფესვები მტკიცედა აქვს გადგმული საზოგადოებაში. საზოგადოებას ჰსურს შეიმუშაოს ამისთვის ორი ბილლი. ერთით უნდათ პოლიციას უფლება მისცენ შევიდეს საეჭვო სახლებში და დაატუსაღოს იქ ხალხი, მეორე ბილლი იმათ წინააღმდეგ იქნება, ვინც ქუჩაზედ უზნეო აზრით დაჰხვდება ვისმეს და ვაჟრობას დაუწყებს. ვინ იცის, შეიწყნარებს თუ არა საზოგადოებათა პალატა ამ კანონებს? თუ არ შეიწყნარა, ბევრს არც წააგებს რასმეს.

როდესაც სწავლულ დოქტორებს ამგვარი წარმოდგენა აქვთ ზნეობასა, სოციალურ მოვლენასა და სხვა ამგვარ საგნებზე, როდესაც „ზნეობის დამცველნი" ასე უყურებენ პროსტიტუციას და ამგვარის საშუალებით სცდილობენ იმის მოსპობას,—სწორედ გიკვირს და ეკითხები თავს: მართლა მეოცე საუკუნეში ვართ?.. პროსტიტუციის არსებობა აიხსნება ღრმა მიზეზებით, რომელთაც ფესვი აქვთ გამჯდარი თანამედროვე

ბული ფირმა კუტონ და ამხ. მცირე აზიის ქვას მოიტანს და იმით მოაგებს ტფილისის ქუჩებსაო. ფასი დაუდევს ორ-გვარი: თუ ოთხ-კუთხ საჟენში 128 ნაჭერ ქვას იანგარიშებთ, საჟენში 24 მან. და ხუთ შაურს ვიანგარიშებ ტფილისში ჩამოტანითაო და თუ 215 ნაჭერს—25 მანეთსა და ორ შაურსაო. თუ ქალაქი შეეცდება და ბათომიდან ტფილისამდე გადმოსაზიდ ფასს როგორმე შეამცირებინებს რკინის გზას, ამის მიხედვით მეც დავუკლებ ქვის ფასსაო და თუ გადმოსაზიდ ფასს მოემატება—მეც მოვუმატებო. ფირმის წარმომადგენელი ბ-ნი მირზოევი სთხოვს გამგეობას, მიეცით ჩემ რწმუნებულს ამ საქმის შესახები დაწვრილებითი ცნობები და ტეხნიური პირობანი, რადგან მომავალ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურსო.

◆ 21 სექტემბრისათვის ავჭალის **ხახალუხთ თეატრში** დანიშნულია წარმოსადგენად კომედია „ციმბირელი“.

◆ ამას წინად აღნიშნული გვქონდა, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ საგარეჯოს მცხოვრებთა საქონელი (10 სულამდე) გაირეკეს და იმ დღიდან სადღაც დაიკარგა მათი მწყემსი ყარამან მათიაშვილით. 16 სექტემბერს მათიაშვილის გვამი უნახავთ ნადირისაგან მთლად გამოხრული ყარაიაზის ტბასთან. მათიაშვილი უცვნიათ ტანისამოსით. თავი მოჭრილი ჰქონია და გვერდსად ვერ უნახავთ. ხელები შეკრული აქვს ბაწრით. როგორც ეტყობა, ხელები შეუკრავთ, თავი მოუჭრიათ და ისე დაუგდიათ ტბის პირად. ამ საზიზღარ ბოროტ-მოქმედთა კვალისათვის დღევანდლამდე ვერ მიუგნიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ რუსულს ენაზე დაწერილი წიგნაკი ბოგდანოვიჩისა „ფუტკარი“ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დაურიგებია კავკასიაში სახალხო სკოლათა გამგე ინსპექტორებისათვის, სასოფლო სკოლებში დასარიგებლად.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სახალხო სკოლათა გამგე დირექტორებისათვის მოუთხოვია, დაწვრილებითი ცნობები წარმომიდგინეთ, რამდენია სასოფლო სკოლა, რამდენმა დაამთავრა წელს სწავლა და რამდენმა დაანება სწავლას თავი, ან რა მიზეზითაო.

◆ ნაძალადევის მცხოვრებმა კოსტა ცერცვაძემ შემდეგის შინაარსის განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში: ათი წელიწადია ქალაქის მიწა მიჭირავს და აქამდე გარდასახადს არავინ არ მახდევინებს. კარგი იქნება გამგეობა პირობით შემეკრას, ისე, როგორც ჩემს მეზობლებსაო.

შეცდომის გასწორება. მე-1927 ნომრის ახალ ამბებში შეცდომით დაბეჭდილი იყო, რომ ქართულ სახალხო წარმოდგენების სექციას „მუსიკაზე წელიწადში თითქმის 40 მანეთი ეხარჯებოდაო“. უნდა იყოს 240 მანეთი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის გამგეობის თხოვნით ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა ბ-მა ვ. პეტრიაშვილმა გამოგზავნა ამავე უნივერსიტეტში კურს დამთავრებული ქიმიკოსი ბ-ნი ა. მდივანი, რომელსაც დავალებული ქონდა შეედგინა ქუთაისში ლაბორატორიის დაარსებისათვის ხარჯთ-აღრიცხვა. მდივანმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა კიდეც სხვა-და-სხვა გვარის ლაბორატორიის გამართვისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა; ესეც იყო „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი. ქალაქის გამგეობას ამ საგნის შესახებ ვრცელი მოხსენება შეუმუშავებია და 23 სექტემბერს საბჭოს მორიგ კრებას წარუდგენს განსახილველად.

ქალაქის გამგეობას ისიც დაუდგენია, რომ შავი-ქვის მწარმოებელთა მორიგ კრების წინაშე (ოქტომბერში უნდა მოხდეს) იშუამდგომლოს, ქუთაისში ლაბორატორიის დაარსებისათვის თავის მხრით ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ქალაქს.

◆ ქუთაისის რეალურ სასწავლებლისათვის სახლის ამშენებელი მოიჯარადრე ვერ უსწორდება რიგიანად თავისს მუშებს, ბერძნებს, ორას თუმნამდე ვალიც დაედო მუშებისა. ბევრი უცადეს მოიჯარადრეს, მაგრამ არა ეშველათ-რა და ბოლოს ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს მიჰმართეს; ამის ბრძანებით საქმის ვითარება გამოიკვლიეს და, როცა მუშების სიმართლე დამტკიცდა, რეალურ სასწავლებლის ადმინისტრაციას დაევალა მოიჯარადრეს დაუჭირეთ ხვედრი ფული და მუშები დააკმაყოფილეთო. შენობის გამგე კომისიამ ფული დაიჭირა და პოლიციას გაუგზავნა. 16 სექტემბერს ქუთაისის პოლიცმეისტერმა ეს ფულები მუშებს დაურიგა.

ეს გარემოება უეჭველად ჭკუას ასწავლის მსგავს მოიჯარადრეებს.

◆ ქუთაისს ეწვივნენ ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლენი თავიანთის მასწავლებლებით. 14 სექტემბერს ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები, გელათის მონასტერი და მოწამეთა დათვალიერეს. 15-ს დილით ტყიბულიდან ჩამოვიდნენ და არქიელის გორაზე ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, სამეურნეო სასწავლებელი, იმის ბაღები და ფერმა დაათვალიერეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ სახელმწიფო ეგზამენები მკურნალის ხარისხის მისაღებად გამოსაცდელ კომისიაში დედათა სამკურნალო ინსტიტუტთან დაიწყო 10 სექტემბერს. სულ ეგზამენის დაჭერის სურვილი განაცხადა 12 ქალმა.

◆ რადგანაც ამ ჟამად დიდ-ძალ ხილს მიეზიდებიან სამხრეთ ადგილებიდან პეტერბურგსა და მოსკოვში, გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა—რკინის გზებმა იღონონ რამ, რომ ხილი არ წახდეს მატარებლებში, ამასთან მსწრაფლად იქმნას ხოლმე გადაზიდულიო.

◆ 16 სექტემბერს უნდა დაეწყოთ გარჩევა საქმეებისა ხარკოვისა და პოლტავის გუბერნიებში მომხდარ უწესოებათა შესახებ. სულ განსახილველია 71 საქმე. თვითეული საქმე რომელისამე მემამულის სახლკარის აკლებას შეეხება. 41 საქმე უნდა განიხილოს ხარკოვის სამოსამართლო პალატამ, ხოლო 30—კიევისამ. სულ პასუხისგებაში მიცემულია 641 კაცი.

◆ როგორც ამას წინადაც ვწერდით, პეტერბურგში აზრადა აქვთ ხმოსანთა არჩევნების დროს ხმის უფლება სადგომის პატრონთაც მისცენ. ჰფიქრობენ, ხმის უფლება იმ ბინის პატრონთ მიანიჭონ, ვინც ქირას 1,200 მანეთზე მეტს იხდის.

◆ პეტერბურგში არსდება ქარხნების პატრონთა ახალი საზოგადოება. აზრად ამ საზოგადოებას ურთ-ერთთა დაზღვევა ექმნება იმ შემთხვევისათვის, თუ ქარხნის მუშას ან მოსამსახურეს უბედურება რამ შეემთხვა.

◆ რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება გულ-მოდგინედ შეუდგა მუშათა დაზღვევის საქმის შემუშავებას. საზოგადოებამ მიჰმართა სხვა-და-სხვა უწყებას, ქარხნებსა და დამზღვევ საზოგადოებებს და სთხოვა, თავიანთი წარმომადგენელნი დანიშნოს კომისიაში მონაწილეობის მისაღებად. მიწვეულნი არიან აგრეთვე აკადემიკოსები იანჟული და მერჟეევსკი, პროფესორები იაროცკი, ხოდსკი, ველიამინოვი და სხვანი.

◆ ვენაში ამას წინად დაიბეჭდა საყურადღებო თხზულება ექიმის კეგლერისა ჭლექის შესახებ. როგორც ამ თხზულებიდანა სჩანს, ყველაზე მეტად ჭლექი გავრცელებულია რუსეთში. აი, ცნობებიც. ერთ მილიონ მცხოვრებიდან ჭლექით კვდება:

ინგლისში	1,358	კაცი.
შოტლანდიაში	1,727	„
ნორვეგიაში	1,737	„
ბელგიაში	1,767	„
იტალიაში	1,871	„
ჰოლანდიაში	1,884	„
დანიაში	1,912	„
ირლანდიაში	2,029	„
შვეიცარიაში	2,031	„
გერმანიაში	2,246	„
შვეციაში	2,310	„
საფრანგეთში	3,023	„
უნგრეთში	3,184	„
ავსტრიაში	3,625	„
რუსეთში	3,986	„

რუსეთში დაახლოვებით 130 მილიონი სულია. მაშასადამე, წელიწადში მარტო ჭლექისაგან 518,180 კაცი ესალმება წუთისოფელს. ევროპის დიდ და სატახტო ქალაქებს შორის ყველაზე მეტად ჭლექი მძვინვარებს მოსკოვში.

პრესსა

გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ მომავალ საქალაქო თვით-მმართველობის რეფორმის შესახებ. როგორც იციან მკითხველებმა, რეფორმა პირველად შეეხება მხოლოდ პეტერბურგს და შემდეგში გავრცელებულ იქნება ყველა ქალაქებზე. რეფორმის ხასიათის შესახებ ჯერ არაფერი ისმის; ამბობენ მხოლოდ, რომ გამგეობის ერთ-ერთ წევრად მთავრობისმიერ დანიშნული მოხელე იქნებაო. ეს ხმა შესაძლებელია მართალი იყოს, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დანიშნა თავისი წარმომადგენელი პეტერბურგის ქალაქის გამგეობაში. დანამდვილებით ამბობენ აგრეთვე, რომ სადგომების დამქირავებელთაც მიანიჭებენ საარჩევნო უფლებასო. ეჭვს გარეშეა, ამგვარ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა ექნება ქალაქებისათვის: მსხვილ ვაჭართა და მდიდარ სახლის პატრონთა გარდა საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობა დაევალება სადგომის დამქირავებელთაც, ესე იგი, ინტელიგენციისა და საზოგადოების წარმომადგენელთ. ამით ქალაქი მოიგებს, რადგან სადგომების დამქირავებელნი უფრო შეგნებულად იმოქმედებენ და რადგან ისინი მეტ შემთხვევაში უფრო დაინტერესებულნი არიან საქალაქო საქმეების წესიერად მართვაში და ქალაქის საშუალებათა ყაირათიანად დახარჯვაში, ვიდრე ვაჭრები და სახლის პატრონები, საჭიროა მხოლოდ, რომ ბინის დამქირავებელთათვის დიდი ცენზი არ იქმნას დაწესებული, რათა ამ კატეგორიის ამომრჩეველთა რიცხვი მეტი იყოს. მაგრამ სწორედ ამ გარემოების გამო არ ისმის სანუგეშო არაფერი. გაზეთები გადმოგვცემენ, მაგალითად, რომ პეტერბურგში იმ ბინის დამქირავებელთ მიანიჭებენ საქალაქო საარჩევანო უფლებას, რომელნიც წლიურად არა ნაკლებ 1200 მანეთს ქირას იხდის სადგომში. თუ ეს ამბავი გამართლდა, მაშინ ხსენებულს ცვლილებას დაეკარგება თავისი მნიშვნელობა, რადგან ისევ მარტო უმდიდრეს მოქალაქეთ ერგებათ საარჩევანო უფლება. ამ საკითხს, სხვათა შორის, „ნოვ. ვრ.“-ც ეხება და სამართლიანად აღიარებს, რომ მხოლოდ მცირე ცენზის შემოღება იქნება სასარგებლო ქალაქისათვის, რადგან მხოლოდ მაშინ შეეძლება საზოგადოებას უფრო შეგნებული ხმოსნები აირჩიოსო.

ოფიციალურის ცნობებითო, განაგრძობს გაზეთი, პეტერბურგში 1200 მანეთზე მეტს ბინის ქირას მხოლოდ 5520 კაცი იხდის; ეს რიცხვი-კი ბინის ყველა დამქირავებელთა მხოლოდ მერვედს შეადგენს. ამრიგად დიდი უმრავლესობა მოკლებული იქნება საარჩევნო უფლებას და მით ისარგებლებენ ისევ ის მდიდარი სახლის პატრონები და ვაჭრები, რომელნიც ეხლაც არიან ამ უფლებით აღჭურვილნი. მაშინ აღარც ითქმის, რომ საარჩევანო უფლება ქალაქის მცხოვრებთა სხვა და სხვა ჯგუფს ენიჭებაო და ინტელიგენცია, ჩვეხებური ნაკლების შეძლების პატრონი ინტელიგენცია, კვლავ დარჩება განზე. მთავრობას-კი ჰსურს ქალაქის მცხოვრებთა ყველა ჯგუფებს ჰყავდეს წარმომადგენელნი საბჭოში, რათა ამ გზით მოხერხდეს საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობის გაუმჯობესება. თუ-კი რეფორმის მომხდენელთ ამგვარი სურვილი აქვთ, უნდა ახსოვ-

---

ცხოვრებაში, დაბეჩავებულთ და შევიწროებულთ არა აქვთ არც განათლება, არც უზრუნველ-ყოფილი ცხოვრება, არც სხვა რამე ბედნიერება ამ ქვეყნად. მოტყუებულ-გაცრუებული ათას მუქთახორასაგან, სიცოცხლისათვის ბრძოლისაგან გამწარებული, თავისუფალ დროის უქონლობისაგან უმეცრებაში მყოფი, იგი ან ალკოჰოლიზმს ეძლევა, ან კიდევ გარყვნილებას. მიზეზი ამ საშინელ მოვლენისა, რომელიც მანამდე არ მოისპობა, ვიდრე მიზეზი არ გაჰქრება, თვით იმ ელემენტშია, რომელიც მალი-მალ გაიძახის—არიქა, დაიღუპა ქვეყანა, გაირყვნა ხალხი, და რომელიც პოლიციას იხმობს ზნეობის აღსადგენად. იქნება სწავლა-აღზრდის კლერიკალიზაციაც წამალია ყოველ სოციალურ უბედურებისა? არა, ბატონებო, სქესობრივ განწყობილებებს კანონით ვერ შესცვლით, ხოლო ყოველივე შეცვლა მისი კანონმდებლობით და ძალდატანებით უფრო მეტ გარყვნილებას გამოიწვევს. ისტორია მოწამეა ამისი! ერთმა ორატორმა სთქვა ერთხელ პარიზში: „სიფილისის წინააღმდეგ საშუალება წმინდა სიყვარულია, ალკოჰოლის წინააღმდეგ—წმინდა წყალი და ჭლექის წინააღმდეგ—წმინდა ჰაერიო“. არ ვიცი, ბ-ნ ეპისკოპოსს რა უდევს თავში და რა მიაჩნია ლოთობისა და ჭლექის წამლად, ხოლო პროსტიტუციისთვის კი უებარი მალამო გამოუძებნია. ეს გახლავთ პოლიცია!

ჯონ გოდარდი ერთ დემოკრატიულ გაზეთში ამბობს, რომ ქვეყანა უკან მიდისო. თუმცა მეცნიერება თან-და-თან ვითარდება, თან-და-თან მეტ სასწაულებს სჩადის, მაგრამ ხალხი ზნეობრივად ყველგან უკან-უკან იხევსო. თუმცა მეცხრამეტე საუკუნე დიდებული ხანა იყო მეცნიერებისათვის, მაგრამ შეხედეთ, რა ამბები და შემაძრწუნებელი დრამები მოხდა ამ საუკუნის განმავლობაშიო. საფრანგეთისა და პრუსიის ომი, ოსმალთა მიერ ბულგარებისა და სომხების ამოწყვეტა, რუსეთისა და ოსმალეთის ომი, ევროპიელთა მიერ ცივილიზაციისა და კოლონიზაციის სახელით სხვა-და-სხვა ხალხის სისტემატიური ჟლეტა, სუდანის უბედურებანი, საბერძნეთ-ოსმალეთის ომი, ჩინეთ-იაპონიის ომი, ევროპიელთა მიერ ჩინეთში ჩადენილი ბარბაროსობანი, ისპანელთა ინკვიზიციონური მართვა-გამგეობა კუბაზე, რომელსაც ამერიკასთან ომი მოჰყვა და ამერიკის გაბატონება ამ კუნძულზე, ამერიკელთა ომი და ბარბაროსობა ფილიპპინელთა წინააღმდეგ და, ბოლოს, სამხრეთ-აფრიკის საზარელი ტრაგედია,—რა არის ყველა ეს? რა ხანაა ის ხანა, როდესაც ამდენი უბედურება მოხდა, როდესაც ძალ-მომრეობა, სისხლის ღვრა, ომის თაყვანის ცემა დროს გატარებად გადაიქცა? რას მოწმობს ყველა ეს, თუ არ ზნეობის დამხობას და იმ ძალთა დათრგუნვას, რომელნიც პროგრესსა ჰქმნიანო?

შეხედეთ, დააკვირდით ინგლისს, განაგრძობს ავტორი: განქრა ძველი სიყვარული თავისუფლებისა და თანაგრძნობა დამონავებულ ერთა მიმართ. იმათი ადგილი ფანატიკოსობამ და დამონავება-ბატონობის სურვილმა დაიჭირა. თავისუფლება გაირყვნა შინ და ფეხ-ქვეშ გაითელა გარედ. დემოკრატია ძლეულ იქმნა ოლიგარხიისაგან. ყველგან ძალ-მომრეობაა, ყველგან ლოცვაა ამ ძალ-მომრეობისა, ყველგან მფარველობაა ქურდთა და ავაზაკთა ინტერესებისა. მუშა კლასსების ზნეობრივად დაქვეითება და ინგლისის ხალხის ხასიათის უკეთილშობილეს მხარეთა გაქრობა—ყველა ეს ფაქტია დღეს, და უკან მივდივართ, მაშ რა ეშმაკიაო!

რაც შეეხება ეკონომიურ მხარეს, უფრო უარეს მდგომარეობაში ვართო. ვალით ყელამდის სავსე ვართ. 2,500,000,000 მანეთის უბრალოდ დაკარგვა ერისთვის უბრალო საქმე არ არის. თუმცა სიმდიდრე დიდია ინგლისში, მაგრამ სიღარიბეც საშინელია. სიმდიდრე და დიდებულება ერთი და იგივე არ არის; ხან და ხან უუმდიდრესი უუბედურესია. სამხრეთ-აფრიკაში იმდენი ფული დავხარჯეთ, რომ ამ გარემოებამ საშინელი გავლენა იქონია ინგლისის საზოგადოებაზე. დავვალიანდით, საჭირო შეიქმნა ბაჟებისა და გადასახადების შემოღება. შაქარზე ბაჟის დადება ბავშვების მურაბაზე ბაჟის დადებასა ჰნიშნავს და სხვას არაფერსო. პროტექციონიზმის სასარგებლოდ ყვირილი გახშირდა, პურის ბაჟის შემოღებაც იმას მოჰყვა. არა პირდაპირი პრივილეგია და მონოპოლია გამრავლდა, შრომა გაძნელდა, სიმდიდრის განაწილებაში მომეტებული მეტ ნაკლებობა და უსამართლობა გაჩეფდაო.

ერთი სიტყვით, რეაქციაა! მაგრამ რეაქციის წინააღმდეგ ამგვარ იერემიადებით ვერაფერს გაჰხდება ვერც ერთი საზოგადოება. იერემიადა უძლურების ნიშანია, ხოლო უძლურება მოწინავე დასისა—გამარჯვება რეაქციისათვის. მაგრამ ვინ იცის, იქნება ეს რეაქცია მარტო ინგლისში არ იყოს, იქნება იგი მთელ ევროპაშია გაბატონებული?.. ევროპის საზოგადოება ამ მეოცე საუკუნის დასაწყისში რაღაც არა ჩვეულებრივ დუღილშია; ბევრგან ამ დუღილმა ფართოდ გადმოხეთქა კიდეც. დღეს გახურებულ საზოგადოებრივ—ვულკანიურ სითხის ნავარდს ბევრგან ვხედავთ: ესპანიასა, ბელგიასა, ამერიკაში თითქოს ყველგან... ერთმა შესანიშნავმა მეცნიერ-პუბლიცისტმა სთქვა, რომ ისტორია ადამიანის აზროვნებისა კედლის საათის მაიტნიკის ქანაობას გვაგონებსო. ერთის გაქანების შემდეგ დგება რეაქცია, რომელიც გრძელდება დიდ-ხანს, მაგრამ ახალნი ძალნი იკრიბებიან საზოგადოებაში, აზრი იღვიძებს, დგება ხანა მეორედ გაქანებისა, რეაქციასაც ბოლო ეღება და საზოგადოება მოძრაობას იწყებსო... ამ საზოგადო დამარცხების შემდეგ, ამ

დეთ, რომ საქმეების გაუმჯობესებისათვის საჭირო შეგნებულ ელემენტთა მიწვევა, ესენი-კი უფრო მეტად ღარიბნი არიან.

თუ პეტერბურგისათვის იქნება უსარგებლო დიდის ცენზის დანიშვნა, პროვინციალურ ქალაქებისათვის სულ უმნიშვნელო იქნება ხსენებული ცვლილება. პროვინციალურ ქალაქებში ძვირფასი სადგომები სრულიად ხელმიუწვდენელნი არიან ინტელიგენციისათვის. ასე რომ, თუ მართლა განზრახულია საარჩევანო უფლების გაფართოვება, პროვინციაში სულ მცირე ცენზი უნდა დაწესდეს ბინის დამქირავებელთათვის და მხოლოდ მაშინ ექნება დიდი მნიშვნელობა მომავალს რეფორმას.

* * *

ამას წინად, როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, საერო განათლების სამინისტრომ ცირკულიარი გამოსცა, რომლით საშუალო სასწავლებელთა გამგეთ ევალებოდათ მოსწავლეთა შრომის შემსუბუქება, მათის ჯანმრთელობისა და ფიზიკურ განვითარებისათვის მაცადინეობა. გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ ამ განკარგულების სარგებლობას, მაგრამ ამასთანავე ეჭვს აცხადებენ და ამბობენ, რომ საშუალო სასწავლებელთა დღევანდელი პირობანი მაინცა და მაინც ხელს ვერ შეუწყობენ სამინისტროს სურვილის განხორციელებასაო. გაზ. „ვარშავ. დნევნიკ“, მაგალითად, სწერს, რომ საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარის განზრახვათ სრულიად არ შეეფერება გიმნაზიებში გაკვეთილების განაწილების საქმეო; გაკვეთილები იმდენია და ისეა განაწილებული, რომ არც შრომის შემსუბუქებაზე, არც ფიზიკურ ვარჯიშობაზე ლაპარაკი აღარ შეიძლებაო.

ავიღოთ მაგალითად თუნდ გაკვეთილების დაწყების საქმეო, ამბობს გაზეთი. გაკვეთილები იწყება დილის 8 საათზე და თავდება $2^{1}/_{2}$-ზე. სასწავლებელში მისვლა რომ არ დააგვიანდეს ბავშს, დილის 6 საათზე უნდა ადგეს; ზამთარში ამ დროს ვათენებულიც არ არის. განა ეს ჰიგიენის წინააღმდეგი არ არის? საჭირო არ არის განა და სასარგებლოც, რომ გაკვეთილები ყოველთვის 9 საათზე იწყებოდეს, მით უმეტეს, რომ ბევრი მოსწავლე სასწავლებლიდან შორსა სდგას და ხშირად ჩაის დაულეველადა ან უსაუზმოთ უნდა გაიქცეს სკოლაში?!

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

სამშაბათს, 17 სექტემბერს, ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსა და ზოგიერთ წევრებს იმ პროგრამის განსახილველად, რომელიც დაარიგა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოსაკვლევად შემდგარმა კომიტეტმა. სხდომას დაესწრო 20-მდე კაცი. დაწყებისათანავე თავმჯდომარემ აცნობა დამსწრეთ შინაარსი იმ მოწერილობისა, რომელიც დაეგზავნა ადგილობრივ კომიტეტებს სახელმძღვანელოდ. ამ მოწერილობის ძალით, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს ეძლევათ სრული ნება გამოსთქვან თავიანთი მოსაზრებანი სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობით და საჭიროებათა შესახებ. მოწერილობასთან ერთად ადგილობრივ კომიტეტებს დაეგზავნათ პროგრამებიც. ამ პროგრამიდან უნდა განიხილონ ის მუხლები, რომლებიც ადგილობრივ სამეურნეო საჭიროებათ შეეხება. ნება ეძლევათ აგრეთვე შეავსონ პროგრამა ადგილობრივ ცხოვრების მოთხოვნილება-საჭიროებათა მიხედვით.

მოწერილობის წაკითხვის შემდეგ სხდომა შეუდგა პროგრამის განხილვას. წაკითხულ იქმნა პირველი მუხლი, რომელიც შეეხება ხალხში პრაქტიკულად და თეორიულად სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გავრცელებას. უმეტესი დრო ამ საღამოს აღნიშნულ მუხლის განხილვას მოხმარდა. რულთან-კრიმ-გირეიმ სთქვა, რომ ხალხში სამეურნეო ცოდნათა გავრცელება ძნელია, როდესაც იქ არ არის შემზადებული ნიადაგი, რომ ამა თუ იმ ცოდნამ ფეხი მოიკიდოს. ხალხში თეორიულად და პრაქტიკულად ცოდნის გავრცელება შესაძლებელია უპირველესად ყოვლისა სახალხო სკოლების საშუალებით, ინსტრუქტორთა ინსტიტუტების დაწესებით, სპეციალურ წიგნების გამოცემით და სხვ. რათა ყველა ამან ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა კარგს პირობებში ჩადგეს სახალხო სკოლა, სადაც პირველ-დაწყებითი სწავლა უნდა მიიღოს ბავშმა სამშობლო ენაზე. ამის შემდეგ ბავშვი ადვილად შეითვისებს სახელმწიფო ენასაც და ადვილად მომზადდება ნიადაგიც სამეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად.

თავ. გ. მიქელაძე დაეთანხმა თავმჯდომარის მოსაზრებას და სთქვა, პირველ-დაწყებითი სწავლა უსათუოდ დედა-ენაზე უნდა სწარმოებდესო. ამასთან ცალ-ცალკე უნდა გაიმართოს პირველ-დაწყებითი და დაბალ და საშუალო ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები. სახალხო სკოლაში დედა-ენაზე შეძენილი ცოდნა ბავშვს გაუადვილებს სამეურნეო სასწავლებელში მეურნეობის ამა თუ იმ დარგის სპეციალურად შესწავლას. ეხლანდელ სახალხო სკოლებში, სადაც სულ სხვა მეთოდით სწარმოებს სწავლა, ბავშვს პირველ დღიდანვე ელახება ბუნება. ჩვენის აზრით, თვით დიდის ნიჭის პატრონიც ამ სკოლებში ვერაფერს შეიძენს ისეთს, რომ ცხოვრებაში გამოიყენოსო.

ესევე აზრი გამოსთქვეს სხვა წევრებმაც. კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ, კრება იმ აზრს დაადგა, რომ ცალ-ცალკე უნდა არსებობდეს სახალხო და სამეურნეო სკოლები. ხანგრძლივი ლაპარაკი გამოიწვია აგრეთვე სამშობლო ენაზე სწავლის საჭიროებამ. კრება თითქმის ერთხმად მიემხრო თავმჯდომარისა და თავ. მიქელაძის მოსაზრებას. გადასწყვიტეს მიანდონ ბ-ნთ სულთან-კრიმ-გირეისა და ა. ნატროშვილს შეიმუშაონ და წარუდგინონ საზოგადო კრებას მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხში სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად დედა-ენაზე პირველ დაწყებით სწავლებას.

ლაპარაკი გამოიწვია აგრეთვე თავ. მიქელაძის მიერ აღძრულმა საქმემ იმის შესახებ, რომ დაარსდეს სამეურნეო სკოლები განსაკუთრებულის პროგრამებით. თავ. ჯანდიერმა ყურადღება მიაქცია პრაქტიკულად სწავლებას. იმის აზრით სამეურნეო სკოლებთან უნდა გაიმართოს საცდელი მინდვრები. კრებამ გადასწყვიტა დაავალოს აგრონომს ტიმოფეევს მოხსენების შედგენა იმის შესახებ, თუ რა ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იქმნება უკეთესი კავკასიისათვის. კრებამ პროგრამის პირველი მუხლი შეავსო შემდეგის წინადადებით: სახალხო სკოლის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო ცოდნათა გავრცელების საქმეში.

შემდეგ კრება შეუდგა იმ მუხლების განხილვას, რომლებიც საცდელ მინდვრების მოწყობასა და სოფლის მეურნეობის მავნე მწერებთან ბრძოლას შეეხება. კამათის შემდეგ კრებამ მოხსენების შედგენა მიანდო აგრონომს ტარატინოვს—საცდელ მინდვრების მოწყობის შესახებ, ხოლო სააკოვს—მეურნეობის მავნე მწერებთან ბრძოლის შესახებ.

სხვა მუხლების განხილვას კრება განაგრძობს დღეს, 19 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ.

მატარებელში მომხდარი მკვლელობა

14 სექტემბერს, შუაღამისას, რკინის გზის მატარებელში მომხდარ უბედურების გამო ბევრი მითქმა-მოთქმაა, ყველა სცდილობს ამის ახსნას, მაგრამ ჯერ-ჯერობით დანამდვილებით არ შეგვიძლიან დავასახელოთ არც ბოროტების ჩამდენნი და არც იმათი განზრახვა. მაგრამ ჩვენ მაინც მივაწოდებთ მკითხველებს იმ ამბებს, რომელსაც გაზეთები „ჩერნ. ვესტნიკ“-ი და „ბაკინსკია იზვესტია“ გადმოგვცემენ.

პირველი ამათგანი სწერს: ბაქოდან გამოსვლის დროს მატარებელში შესულა სამი უცხო კაცი და სწორედ ის კუპე დაუჭერია 1-ლ კლასის ვაგონში, რომელიც კონდუქტორს სტურუას ჰქონდა ჩაბარებული. ეს სამი კაცი თურმე ყაჩაღები ყოფილა და ერთს მდიდარ ვაჭარს მისდევდნენ. იმ ადგილას, სადაც უბედურება მოხდა, კონდუქტორი მოუკლავთ და გარედ გადაუგდიათ გაქანებულ მატარებლიდან, მერე კუპეს სცემიან, რომ ვაჭარი ენახათ და მოეკლათ, მაგრამ დიმიტრი გედევანიშვილს წაწყდნენ თურმე, რომელიც ტანთ-გახდილი იწვა და ეძინა. ყაჩაღები მერე დარწმუნებულან, რომ შევცდითო, მაგრამ გვიან-ღა იყო: საჩქაროზე მიცვივნულან ვესტინჰაუზენის ტორმაზს და მატარებელი მსწრაფლ გაუჩერებიათ და გადამხტარან.

„ბაკინსკია იზვ.“ ამ ამბავს ისე მოგვითხრობს, როგორც სხვები, მხოლოდ ერთის მკვლელის მნახველსაც ასახელებს—ეს ყოფილა ბ-ნი თუმანიანცი, რომელიც თურმე გედევანიშვილის გვერდით მეორე კუპეში ყოფილა და მეტად შეწუხებულა მეზობლის საზარელის ხრიალით. სწორედ ორი ვერსტი ჰქონდა მატარებელს გავლილი იმ ადგილიდან, სადაც მკლელებს კონდუქტორი სტურუა ვაგონიდან გადაესროლათ, როცა ბ-ნი თუმანიანცი თავის კუპედან გარედ გამოსულა ამბავის შესატყობად: გედევანიშვილის კუპეს კარები შეუღია და მეტად საზარელი სანახაობა დაუნახავს—გედევანიშვილი უგონოდ სისხლში თურმე სცურავდა დივანზე. ბ-ნი თუმანიანცი სწრაფად კარებს მოჰშორებია და სწორედ ამ დროს ვაგონის გასავალში ერთი კარგად ჩაცმული კაცი დაუნახავს. ამ კაცს ხანჯალი აუპრიალებია და ბ-ნ თუმანიანცისაკენ მიუმართავს, მაგრამ ამ უკანასკნელს კუპეში შესვლა და კარების ჩაკეტვა მოუსწვრია. სწორედ ამ დროს მატარებელიც გაჩერებულა: კონდუქტორები და ხალხი მოსულა და ის აღმოაჩინეს, რაც ჩვენმა მკითხველებმა კიდეც იციან, მხოლოდ სამი უცხო მგზავრი პირველის კლასის ვაგონში აღარ აღმოჩნდნენ.

ბაქოდან განსაკუთრებულის მატარებლით ჟანდარმის ოფიცერი და გამომძიებელი გამოსულან ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლად. ამავე მატარებლით სტურუას გვამი ბაქოს წაუღიათ, როცა სადგურს „ვოლჩია ვაროტას“ მისულან, აქ ვიღაც კაცი წარუდგენიათ. ეს კაცი უბედურების ღამეს ამ სადგურის მიდამოებში თურმე დაწანწალებდა, ახირებულადაც ჩაცმული იყო. ტანთ ეცვა ერთიანად ტალახში ამოგანგლული პიჯაკი, რომელიც სისხლით შეთითხნილიც აღმოჩნდა; სისხლისავე ნიშნები უნახეს შარვალზე. გასისხლიანებული პიჯაკი შიშველ ტანზე ჩაეცვა და ამის ზემოდან პერანგი. კოლომინს რევოლვერი და რამდენიმე პატრონაც უნახეს. ეს კაცი ბაქოს წაიყვანეს და პირველისავე გამოკითხვის შემდეგ დაატუსაღეს. დანარჩენ მკვლელებს დაეძებენ.

წერილი ქიზიყიდან

წვიმები და ვენახები.—დღეობები და ქიზიყელნი.—საქონლის ჭირი და ბეითლები. — სამუშაოდ გასვლა ქიზიყელებისა

დიდგა სექტემბერი და მოწმენდილი ცა აღარ დაგვინახავს. სექტემბრის ოთხში დაწყებული ავდარი ჯერაც (12 სექტ.) არ გადეღია და არც მალე აპირებს გამოდარებას. აგვისტოს ბოლორიცხვების გამუდმებულმა წვიმამ საწყალ ქიზიყის წვრილ ვენახების პატრონნი და მოუწევარი ყურძენი დააკრეფინა. მერე ამინდი შეიცვალა, მზე გამოვიდა და ოთხი სექტემბრიდან დარები დაიჭირა. დიდის ვენახის პატრონნიც დაიმედდნენ, ვიდრე კარგად არ მოიწევა, არ დავკრე-

---

რეაქციის შემდეგ ევროპა ისევ გაიღვიძებს, და შეიძლება ეს გაღვიძება გამოიხატოს იმის პროგრესსიულ ძალთა მოძრაობაში, რომელიც კაცობრიობას დაანახვებს ახალ ჰორიზონტს, აქამდის უცნობს, მაგრამ მუდამ სანატრელს.

ეხლა ისევ სამხრეთ-აფრიკას დავუბრუნდეთ.

კაცობრიობას ქვეყანაზე ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ იმისთანა სინიდისისაგან დაცლილი და სისხლის მსმელი მტრები, როგორნიც სამხრეთ-აფრიკის მილლიონერები არიან, არა მგონია კაცობრიობას ენახოს. თავის-თავად იგულისხმება, რომ იმათი მიზანი და ერთად-ერთი სასიხარულო საქმე ამ სოფლად ფულია, მაგრამ საოცარი ის არის, რომ არც ფულის შოვნაში აქვთ ლაზათი და შნო!

ამ ვაჟბატონებმა წამოსჭიმეს გრაფებისა და მარკიზების შესაფერი სახლები, გაიჩინეს აუარებელი შემოსავალი—და ყველა ეს კაფრისა, ზულუსისა, ბანტუსა და საზოგადოდ შავკანიანი აფრიკელების შრომით, მათ ის ექსპლოატაციით. იცი, მკითხველო, რა ჯილდოს აძლევდნენ სამხრეთ-აფრიკაში მყოფი ევროპიელი მილლიონერები ადგილობრივ კვიდრ ზანგს? ი.კეში 10 შილლინგს (შილლინგი 50 კაპ.) და ერთ ტომარა ფქვილს! ერთი ტომარა ფქვილი, ისიც სიმინდისა, და 10 შილინგი თვეში, ე. ი. განუწყვეტელ შრომისათვის ოქროს მადნებში ზანგს ეძლეოდა 2 შილინგი და 6 პენსი კვირაში! მაგრამ მილლიონერებმა ეს ფასი ძლიერ ძვირად ჩასთვალეს. როგორ, განა ზანგს კვირაში უნდა ვაძლიოთ 2 შილლ; 6 პენსი ერთი ტომარა ფქვილი? ეს რა ანგარიში და ყაირათია! იმათი ქირა 15 პენსამდე უნდა ჩამოვიყვანოთ კვირაში, თორემ დაიღუპა ინგლისის იმპერიაო! და, აი, ზანგის შრომის გასაიაფებლად მილლიონერებმა საქმე ომამდე მიიყვანეს.

განსვენებული სესილ როდსი, იელოვა ებრაელ იმპერიალისტთა, რომელთაც **ინგლისელი პატრიოტების** სახელი მოიხვეჭესა პირ-და-პირ აცხადებდა: „ჩვენ მივდივართ ომში იმისთვის კი არა, რომ სამეფო სახლი ვამხიარულოთ, ამ ნაირი ომები წარსულში ჰხდებოდა მხოლოდ! არამედ პრაქტიკულ საქმისათვის...“

მერე, არ იკითხავთ, რა „პრაქტიკული საქმე ჰქონდათ“ ამ ვაჟბატონებს? როდსის ერთმა მეგობარმა, ჯო ჰამმონდმა პირ-და-პირ სთქვა, ომი იმიტომ იყო გამოწვეული, რომ „იმედი გვქონდა ინგლისის ქვეშევრდომობის წყალობით კაფრების ქირას ნახევარზედ შევამცირებთო!“ ოქროს მადნის სხვა წევრნიც უსირცხვილოდ გაიძახოდნენ: „კარგი მთავრობა ის არის, რომელიც ქირას შეამცირებსო!“ სწორედ ამისთვის გამოიწვიეს ომი, მოჰკლეს 39,000 ბური, 30,000 ინგლისელი, დახარჯეს 200,000,000 გირ. სტერლინგი! ეს ვაჟბატონები მზად იყვნენ მონობა აღედგინათ, თუ ინგლისის მთავრობა დასთანხმებოდა. ერთი მათგანი გაიძახოდა: „რად გვიღირა ქირა, თუ ვერაფერს გამოვრჩებით!“ ერთმა ბრიტანელმა „პატრიოტმა“, ბ-ნმა როდმა კი აი რა სთქვა: „თუ ჩვენ ეგვიპტეში 10,000 ან 20,000 დერვიში მოვკალით ჩვენის თოფებით, რატომ არ შეგვიძლიან სამხრეთ-აფრიკაში ვაიძულოთ მკვიდრნი, რომ ცოტა ხეირიანად და კეთილ-სინიდისიერად იშრომონო!“ კაპიტალისტური ლოღიკაა! თუ აფრიკის ერთ ნაწილში ამდენი კაცი დავხოცეთ, მეორეში რატომ არ შეგვიძლიან ამდენივე მონა შევიძინოთო! ეს არის განსვენებულ სესილ როდსისა და იმის მეგობარ-დამქაშების practical Rosiness.“

მაგრამ, როგორცა ვსთქვით, ამ Practical Bosiness-ს არც შნო და ხეირი აქვთ! ომმა არა თუ გააიაფა შავკანიანთა შრომა, შეუძლებლად გაჰხადა იმისი შოვნა. წინად თუ 150,000 კაფრი მუშაობდა, ეხლა მხოლოდ 30,000-ღაა. ამას გარდა დღეს შავკანიანის ქირა 2 შილლინგია დღეში, ომის წინად-კი 10 შილლინგი იყო თვეში. აი ერთი შედეგი ომისა ეს არის. სწორე მოგახსენოთ, ადამიანი ეჭვსაც-კი შეიტანს ამ მილლიონერების სრულ ჭკუაზედ: ველარ იშოვნეს იაფად კაფრები და ამიტომ დაჰკეტეს (თითქმის ნახევარმა) თავიანთი მღვიმე-მაღაროები! ეხლა, არ იკითხავთ, როგორ უნდათ საქმე მოაწყონ: იოჰანნესბურგის ოქროს მადნის საბჭომ გადასწყვიტა, შავკანიანს დადგენილ ქირის ნახევარი მიეცეს მხოლოდ! საკვირველია, ქირა დღეს 2 შილლინგია, არა, მაინც და მაინც ერთ შილლინგად იშოვე კაციო! ასეთ ჭკუასა და გამჭრიახობას იჩენენ მილიონერები.

ზავის ჩამოგდებამდის თეთრ-კანიანნი არ მუშაობდნენ მადნებში, ისინი მხოლოდ ზედამხედველებად იყვნენ. ომამდე კორნვალელი და ნორტუმბერლანდელი მემადნეები იღებდნენ თვეში 50 გ. სტ. ე. ი. 500 მანეთს. ომმა შეაჩერა მუშაობა და თეთრ-კანიანნი იძულებულნი შეიქმნენ, ემუშავნათ დღეში 5 შილლინგად. აქაც მილლიონერი იმათ მფარველობას უწევს და ეუბნება: გამოიღე მხოლოდ ოქრო მიწიდან და... იმდენს მოგცემ, რამდენსაც ლონდონში ქუჩის ხვეტაში აიღებდიო! საზრდო და ცხოვრება საზოგადოდ სამხრეთ-აფრიკაში ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც ძვირია, ვიდრე ინგლისში! მილლიონერებს ამისი ჯავრი არა აქვთ.

ამ გვარია ამ ვაჟბატონების საგმირო საქმეები. არ უნდათ, ორიოდე გროში ოქროს ამოღებისათვის ბურებსაც მისცენ. 1 შილლინგი დღეში შავ-კანიანს და 5 შილლინგი თეთრ-კანიანს, მეტი არ შეიძლება, დავიღუპებითო, გაიძახიან.

ფეშჩას პირელი.

ფავთო. მაგრამ ეხლანდელმა გამუდმებულმა წვიმებმა ხელ-ახლა დააჩქარა ვენახების კრეფა. შეუდგნენ ვენახების მოკრეფას, მაგრამ ძალიან-კი სწუხან: წუმპე-ტალახში და გაზუნზვნილ ვენახში უხდებათ მუშაობა. ესეც არ იყოს, ათასი რამ მოსამზადებელია სახლში თუ მარანში და ეს ავდარი ხელს უშლის და გზას უხლართავს. თუ მთლად გამოდარებას მოუცადეს, ზარალი დიდი ექნებათ: ყურძენი დასქდება და გაფუჭდება. ახლანდელ ნაკლებ ყურძენს კიდევ წყალი შესდევს, რაიცა ღვინის ღირსებაზე გავლენას იქონიებს. ზოგნი მაინც მაგრობენ და ჯერ არა ჰკრეფავენ ვენახებს. ქალები ხომ ცას იკლებენ, ხელი შეგვიშალა ჩურჩხელისა და ხილის გაკეთებაშიო. ცოტა არ იყოს, ქალების ჯავრობა მამაკაცებს ახარებთ კიდეც, მეტი ხარჯს ავცდითო. ღვინის მოსავალი წელს კარგია; ზოგს იმდენის მოსავლის იმედი აქვს, რომ ჭურჭლის შოვნას ერთის თვის წინად შეუდგა.

მაგრამ, ნათქვამია, ღმერთმა ერთი რამ წასწუმინდოს, თუ მეორეს არ აცხონოსო. აქაც თუ ვენახის პატრონნი სწუხან ავის დარების გამო, უკანამხრელები კიდევ სიხარულს ეძლევიან, მიწა გაჟივდა და ადვილადა ვხნავთო. ესენი ძალზე ეშურებიან მოხვნა-თესვას, სცდილობენ, რაც შეიძლება, მეტი მოხნან და მოთესონ, რომ თუ ასე ამინდი ხელს შეუწყობთ, ეგებ წინა წლების დანაკლისი კვლავ შეივსონ. წელსაც რიგიანი მოსავალი იყო ხორბლეულობისა, მხოლოდ ფეტვი გაფუჭდა უწვიმობით. პური და ქერი მომავალ წელს თუ გამოჰკვებავთ, თორემ მოსამხობი და გასასყიდი არა დარჩება-რა.

როგორც ვსთქვით, ძალიან ემდურებიან წვიმას. ამ სამდურავის მიზეზი, ზემოდ დასახელებულს გარდა, სხვაც არის: წვიმებმა დღეობებში სიარული შეუშალა მანდილოსნებს. ქიზიყელი მეტად ზანტია წირვა-ლოცვაზე სიარულისთვის; შეიძლება მივიდეს კიდეც ეკლესიის კარზედ და შიგ ეკლესიაში კი არ შევიდეს და სანთელი არ დაანთოს; მაგრამ თუ მკითხავ-ქადაგმა უთხრა, აქა და აქ წადიო, რაც უნდა არეულ-დარეული საქმეები რჩებოდეს შინ, მაინც წავა და ღამეს გაათევს, ფანაც ქოსმენს დაჰკლავს და ხატის გულისთვის თავზე შემოვლებულ უზალთუნს, ან აბაზიანს ეკლესიის კარს მიიტანს, თუმცა შესაძლებელია აქაც კარებში დაამწყალობნებინოს მღვდელს, ან სტაროსტას და მაინც ეკლესიაში კი არ შევიდეს. ერთ ძლიერ ეკლესიად მთლად ქიზიყში ანაგის მთავარ-ანგელოზის შემდეგ ალავერდის ტაძარი ითვლება და, აი, აქ, დაიარება მუდამ წელს, ამ ტაძრის დღეობაზე, 14 ენკენისთვეს. შარშან ალავერდში სალოცავად არ გაუშვა ადმინისტრაციამ ხალხი, რადგან თელავის მაზრაში საქონლის ჭირი მძვინვარებდა. გზაზედ ყარაულები იდგნენ და სალოცავად გასულ ხალხს უკან აბრუნებდნენ, რის გამოც ხალხმა გურჯაანში აყალ-მაყალი მოახდინა. ამაზედ დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს, მაგრამ ზოგმა მაინც მოასწრო გაპარვა და სალოცავად წასვლა. წელსაც ასე მოხდა.

საქონლის ჭირი ქიზიყშიაც არის მოდებული, თუმცა ხალხი ამას აინუნშიაც არ იღებს. საქონლის ჭირი ორი წელიწადია, რაც ქიზიყში ტრიალებს. უკანამხარში დაიწყო, წინამხარში გადმოვიდა და მთლად მოიარა სოფლები. ხალხი მაინც ჰმალავს ჭირს და ათას ხრიკსა ჰხმარობს, მოხელეებამდე არ მიაღწიოს ავადმყოფობის ხმამ. ამას ხელს უწყობს ზოგიერთი მამასახლისიც. ამ ვაჟბატონებს ამითი უნდათ ნდობა და პატივი დაიმსახურონ ხალხში, ის კი არ იციან, რომ დიდს ვნებას აყენებენ. რაც ბეითლები ჭირიან საქონელს ხოცვენ, ხალხს საქონლის ფასს აძლევენ, როცა ჩუმად იხოცება საქონელი, მაშინ ზარალს არავინ უნაზღაურებთ ხოლმე.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ორი წელიწადია ამდენი ბეითალი დაიარება, ბევრნი ახალ თაობის წარმომადგენელნიც არიან, მოკლულ საქონელში ფულსაც ურიგებენ და მაინც ამოდენა ნასწავლმა ხალხმა ორის წლის განმავლობაში ხალხს ვერ ჩააგონა, ნდობა და პატივი ვერ დაიმსახურა მათ შორის. ხალხის გამოლაპარაკება ამას აშკარად ჰხდის. ესენი ძალიან ემდურიან ბეითლებს—ძალიან სასტიკად გვექცევიან, გვაწუხებენ და გვავიწროვებენო. ბევრი მაგალითი უთვილა იმისა, რომ საქონლის პატრონს საქონელი მიერეკოს ბეითლის მიერ დანიშნულ ადგილზე, მხოლოდ თითონ გაქცეულიყვნენ, ოღონდ მე თავი დამანებეთ და ემაგ საქონელს, რაც გნებავთ, ის უყავითო. საჭიროა ამ გარემოებას კარგად ჩაუკვირდნენ როგორც თვით ბეითლები, ისე ხალხის მზრუნველ ხელმძღვანელნი, თუ უნდათ ხალხს სარგებლობა მოუტანონ და თითონაც უფრო ადვილად შეასრულონ მოვალეობა.

ქიზიყელებიც მიეჩვივნენ გარედ სამოვარზე სიარულს. გარედ გამსვლელთა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს. ამას ვერ აფერხებს ვერც წლევანდელი რიგიანი მოსავალი. თუ დღეს ვერ აფერხებს, კვლავ ხომ უფრო ძნელი იქნება ამათი ადგილობრივ გაჩერება, რადგან დღითი-დღე მოთხოვნილება მრავლდება, ხალხი იღვიძებს და სასოფლო-მეურნეობა უწინდებურად ძველებურ, ჩვენებურ წესით ვეღარ აკმაყოფილებს; სხვა რიგად მოწყობა და გაუმჯობესება მეურნეობისა კი მრავალ მიზეზისა გამო არ შეუძლიან. გარედ გადის უფრო მუშა ხელი, ამასთან იმ ადგილებიდან, სადაც უფრო ხვნა-თესვასა და საქონლის მოშენებას მისდევდნენ და მისდევენ. იმ კუთხიდან, სადაც მევენახეობას მისდევენ, ნაკლებ გადის გარედ ხალხი, რადგან ვენახი უფრო მეტს მოგებას აძლევს ეხლა და თუ კარგად შემუშავებულია, აკმაყოფილებს მშრომელის შრომას. აი გარედ გასულთა რაოდენობა ამ ოთხის წლის განმავლობაში:

	თავის. წოდებ.	გლეხი
1899 წელს . . .	75 კაცი	3,000 კაცი
1900 „ . . .	40 „	2,700 „
1901 „ . . .	85 „	7,500 „
1902 „ (10 სექ.)	40 „	5,500 „

ხალხი გარედ გადის გიორგობისა და ქრისტეშობისთვეში, როდესაც მოსავალს ჩაიგდებენ და ხვნა-თესვას ათავებენ. ამ გარედ გასულთა რიცხვში ქალი ნაკლებია, ასე წელიწადში 15—20 სული, დანარჩენი მამა-კაცია, უფრო 30—45 წლის ხალხი.

შორეული

წერილი საჩხერიდან

მხეცური საქციელი.—ქურდებმა აგვიკლეს.—საჩხერის გზა.—აქაური ეტლები

4 სექტემბერს სოფ. ჩიხის გლეხმა ი. ა—ძემ ღამით, საჩხერეს, კედელი გამოუნგრია ებრაელის მ. ხ—ლის სახლს, სადაც ხ—ლის ცოლი მარტოდ იმყოფებოდა, ამოღებულის ხანჯლით ძალა იხმარა და ქალი გააუპატიურა. ამავე ა—ძემ ორი დღის წინად საჩხერეში გაჰქურდა ვ. გ—ილი, რომელსაც ჩოხა, ახალუხი, საბანი და სხვა რამეები მოჰპარა. ა—ძე დაიჭირეს და საქმეს გამომძიებელი აწარმოებს.

აქეთკენ მეტად გახშირდა ქურდობა. დადგება საღამო თუ არა—სოფლად ერთი თოფის სროლა, ეზოებში ჭრაქებით სიარული და კივილ-წივილი ასტყდება. იტაცებენ ყურძენს, სიმინდსა და სხვას. ყოველის მხრიდან ქურდობაზე გაისმის ლაპარაკი.

ამ რამდენისამე დღის წინად სოფელ გორისაში გაჰქურდეს გიორგი აბდუშელიშვილი. ქურდებს წაუღიათ 3000 მან. ღირებული ძველი ნივთეულობა: ძვირფასი ვერცხლის იარაღები, თოფები, ლეკურები, ხანჯლები, ძველებური ტანთსაცმელები, მუზარადი და სხვა. ქურდები დღესაც ვერ აღმოუჩენიათ.

სოფ. ჭალას მცხოვრებმა ა. ა—ძემ რევოლვერით დასჭრა გზაში მიმავალი პერევისელი მცხოვრები დათია ენუქიძე: ერთი ტყვია მოხვედრია თეძოში, მეორე-კი ხანჯალს მოხვედრია და ამგვარად სიკვდილსაც გადარჩენილა.

26 აგვისტოს საჩხერის გზაზე ერთი ეტლი მოდიოდა. ეტლი გადაბრუნდა და შიგ შუაგულ მდინარეში ამოჰყო თავი. ეტლში ისხდნენ მღვდელი ჯაფარიძე, ფოსტის მოხელე ა. გოცირიძე და ს. ქებაძე. დარჩობას გადარჩნენ, რადგან მდინარე პატარა იყო, მაგრამ, სამაგიეროთ, ჯაფარიძე, გოცირიძე და მეეტლე აბულაძე იმდენად დასახიჩრდნენ, რომ ზოგ მათგანის მორჩენა სათუოდ არისო, ამბობენ. დარკვეთსა და საჩხერეს შუა მდინარე ჯრუჭულა ჩამოდის. ამ მდინარეზე კარგა მოზრდილი ხის ხიდია აგებული; ეს ხიდი დიდი ხანია შეკეთებას თხოულობს და ამას-კი არავინ ჰზრუნავს. ხიდი მეტად შეძველებულია: ნაპრალებში ხან ურემს უვარდება თვალი, ხან ეტლს. ნუ თუ უბედურება უნდა მოხდეს, რომ ამ ხიდზე სიარული მოსპონ, სანამ არ შეაკეთებენ?

დედა-მიწის ზურგზე არ მოიპოვება, გგონებთ, აქაურ ეტლებისა და ეტლის ცხენების მსგავსი. დანჯღრეულ-დამსხვრეული, დაძველებულ-დაკონკილი, თოკებით შეკრულ-შებოჭვილი—აქაურ ეტლია და შიგ რომ ზიხარ, ასე გგონია—„იმ სოფელს“ მიგდივართ: სულ იმის შიშში ხარ თავ-თავქვე არ გადავეშვათო. ახლა გზას არ იტყვით. გზა მდინარე ყვირილის პირს მისდევს. ალაგ-ალაგ მდინარის ნაპირები კარგა მაღალია და იქ გავლაც, ცოტა არ იყოს, საშიშიცაა, ნამეტურ ღამით, რადგან აქ საკმაოდ დიდი მოძრაობაა. გზა ვიწროა და მდინარისაკენ გადასავარდნი ადგილები არაფრით არ არის გამაგრებული. ეტლის ცხენებისას ნუღარ იტყვით. მეტის-მეტი გამხდრები, დაშავებულ-დატყუალები, აქაურ მეეტლეს ცხენები ნამდვილ ჩონჩხებია. დაბა საჩხერეში პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოების წევრი, ბ-ნი დავით დევიძე, ცხოვრობს და კარგსაც ინებებდა, რომ ამისთანა ცხენების შებმის ნებას არ მისცემდეს საჩხერის მეეტლეებს. რა თქმა უნდა, ცხენები გამხდრები იქმნებიან, როცა პატრონი მხოლოდ ფულის აღებას ჰფიქრობს და არა პირუტყვის ჭმევა-მოვლას. პატრონს ის-კი ავიწყდება, რომ ამ პირუტყვის მოწყალებით თავს ინახავს.

ხცუმარი

დაბა-სოფლები

საქობო (ქიზიყი). რვა ენკენისთვეს ღვთისმშობლის დაბადებასა, ან, როგორც ეძახიან, ეკვდა წმინდობას, დღესასწაულობენ აქ. ეს დღეობა სწორედ აჩრდილი-ღა იყო უწინდებური დღეობისა. ეკლესიას გარს შემოსხდომოდა რამდენიმე მეწვრილმანე, რომელნიც მიდრეცილ-მოდრეცილ საყურეებს, დაბრეცილ წვრილ სარკეებს, სხვა-და-სხვა ფერ ჩაყანგებულ-ქორეცებს (ქინძისთავებს) და ტარ-წამტვრეულ ცალ-პირა დანებს ასაღებდნენ. მეორე მხარეს ხილეული ეწყო და აქაც აობებულ ინდის-ხურმა, ალაო ტფილისის კაფეტს, დამტვრიანებულ ბუბლიკებს და დამპალ მსხალს და ჭანს თხილს ჰყიდდნენ. აქავე გვერდზე მეჩუსტეებს გაეშალნათ მეშის ჩუსტები და ბაშმაკები და რაც შეეძლოთ ესენიც ატყუებდნენ გულ-უბრყვილო ხალხს. ეკლესიის მოშორებით საქონელიც მოერეკნათ გასასყიდათ და ეკლესიის უკან კი მკვახე კიტრივით მწვანე ნესვებითა ვაჭრობდნენ და, ეტყობოდა, კარგადაც ევაჭრნათ, რადგან ძალიან ცოტა-ღა იყო გასაყიდი, როცა ჩვენ დავათვალიერეთ. ხალხი სულ ამ სავაჭროებს ეხვეოდა და შიგ ეკლესიაში კი ძალიან ცოტა იყო, უფრო მანდილოსნები და ისიც სიღნაღიდან ჩამოსულნი (სიღნაღზე ერთ ვერსის მანძილზეა ეს სოფელი და ეკვდა-წმიდ ძალიან სწამთ სომხებს.).

ეკლესიის ეზოში აქა იქ იყვნენ ჯგუფ-ჯგუფად გლეხები, რომელნიც უფრო თავიანთ შინაურ სასოფლო საქმეზე ბაასობდნენ. რამდენიმე წელიწადია არა ვყოფილვარ ამ დღეობაში, სოფელი დიდია, და ამიტომ ვკითხე, სად არის ხალხი-მეთქი. მომიგეს „ზაკუშკაზე“ არიან, და მერე გამოვლენო. მართლაც, როცა წირვა გამოვიდა, საათის ორის ნახევარზე, ხალხი აქეთ-იქიდან გამოჩნდა. უნდოდათ ჭიდილი გაემართნათ, მაგრამ შეზარხოშებულ, ღვინო-მთვრეულ კაცს რაღა ჭიდილის თავი აქვს! ისევ დაიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ სახლებში.

მალე სულ ხელს აიღებენ დღეობებზე და ძალიან კარგსაც იზამენ. დღეობის ამაო ხარჯს თვით ხალხიცა ჰგრძნობს, მაგრამ ჩვეულებაზედ ერთბაშად ხელი ვერ აუღია, ხომ მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია.

ივიწყებს კი თან-და-თან ხალხი დღეობებში დიდ-მასპინძლობას და ან კი რა ჰქნას, რომ არ დაივიწყოს. რა სტუმრების გამასპინძლებისა ცხელა, როცა ათას-გვარი უსაჭიროესი რამ გაუკეთებელი და თავ-დაუდებარი რჩება უქონლობით. აი თუნდა ესევე სოფელი საქობო ავიღოთ. ამ სოფელს ოთხი-ხუთი წლის წინად ძლივს ეღირსა სკოლა. აქამდინ სკოლას შენობა არ გააჩნდა, რის გამო უმაწვილები სწავლას სცდებოდნენ. ახლა განიზრახეს შენობის აშენება, კედლები ამოაშენეს, მაგრამ ფული შემოაკლდათ და დაუხურავი დარჩათ. რაც ამ დღეობაში ხარჯი მოუვიდათ, ის სკოლას ადვილად დაამთავრებდა და სხვა საჭირო საქმესაც გაუძღვებოდა.

მაგრამ რა სკოლა და სწავლა, როცა ამ სოფელს, სადაც 800 კომლამდინ ითვლება, წყალი არა აქვს, რომ მცხოვრებთ წყურვილი მოიკლან და საფხულში—სიცხე-პაპანაქებაში ამოფიტული ყელი გაისველონ. რამდენისამე წლის წინად რა ვაი-ვაგლახით გამოიყვანეს ორი წყარო, მაგრამ ყურ მიუგდებლობით ეს წყაროები ხევებმა ისევ წაღეკა. წყარო ხევზე ჩამოდის. ამავე ხევზე ჩამოდის სიღნაღის საყასბოების ნარეცხი და დაკლული საქონლის სისხლი. ეს უწმინდურება და სისხლი წყალს ერთვის და ხან იქამდინ აუწმინდურებს, რომ წყლის მაგიერ მილში სისხლი გამოდის ხოლმე. ამაზე რამდენჯერმე აცნობა მაზრის უფროსს სამის წლის წინად ნამყოფმა მამასახლისმა მ. კაკაშვილმა და სთხოვდა, საყასბოები აეღოთ იქიდან, ან სხვა მიმდინარეობა მიეცათ უწმინდურებისათვის. მაზრის უფროსმაც ქალაქის მამასახლისს აცნობა, მიწერ-მოწერა გაიმართა, მამასახლისი გამოიცვალა და საქმეს არა ეშველარა და მივიწყებას მიეცა. ახლა ისევ მ. კაკაშვილია მამასახლისად, მაზრის უფროსიც ახალია, ქალაქის მამასახლისიც და იმედია კაკაშვილი ისევ გამოძრავებს თავის თხოვნას, სხვებიც დაეხმარებიან და დაიხსნიან სოფელს უწმინდურებისაგან.

შორეული.

შენიშვნა ბ. ნიკოლაძის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამას წინად (ცნ. ფ. 1886) ერთი პატარა წერილი დავწერეთ შავის ქვის მწარმოებელთა წარსულ კრების შესახებ და, სხვათა შორის, ვთქვით: მაშინდელი ოპოზიცია არჩევნებზე იმან დაღუპა, რომ უკანასკნელ დრომდის ნ. ნიკოლაძის იმედი ქონდათ-მეთქი.

ამის შესახებ ბ. ნიკოლაძე „ივერიის“ გუშინდელ ნომერში სწერს: „ღმერთმან ხომ იცის, რომ არც მაშინ დავპირებივარ ვისმე კენჭს ვიყრი-მეთქი, მაგრამ ამას ვინ იკვლევს? მაშინაც ყველას ჩემგან ნათქვამი ჰქონდა: „ყოვლად შეუძლებელია ინტელიგენციის და მისი წარმომადგენელ ბ-ნ ზდანოვიჩის წინააღმდეგ გამოვიდე-მეთქი“. ან თქმაც რა საჭირო იყო ამისი? ეს უთქმელადაც უეჭვო უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ვინც მიცნობდა, აგრეთვე როგორც იმის შეგნება, რომ ზნეობასაც რომ ნება მიეცა ჩემთვის ინტელიგენცია გამეცვალა ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძის დასზე, ანგარიში და გამოცდილება მაინც გამაგებინებდა, რომ ეს დასი, შრომაში და საქმის მმართვაში, ინტელიგენციის და სტამბის მაგივრობას ვერ გამოსწევდა“

ისე ადვილი არ არის-რა დედამიწაზედ, როგორც რაიმე ჭორის და ტყუილის გავრცელება. თუ ერთხელ ვინმე მოიტყვილა და ხმა გააგდო, წავიდა მერე: ეს ხმა მთელს ქვეყანას მოივლის, ავი და კაი ყველა იმას განიმეორებს,—ამაზე იოლი რაღაა! მაგრამ იშვიათად თუ ვინმე თავს შეიწუხებს, გასინჯოს, გაიგოს, რამდენათ მართალია გავრცელებული ხმა. შავის ქვის მწარმოებელთა წარსულ კრების ოპოზიციის მოწინააღმდეგებმა, ვინ იცის, რა ხმები არ დაჰყარეს ამ ოპოზიციის შესახებ, მაშინაც გაიძახოდნენ და დღესაც გაიძახიან: ოპოზიცია კალ. ჩიკვაიძის შექმნილი იყო პირადის ინტერესისათვის და არავითარი ნიადაგი არა ჰქონდაო!

არ ვიცით, გავიკვირვოთ თუ არა, რომ ბ. ნიკოლაძესაც ხელი წაუვლია ამ ხმისათვის. მაგრამ ის კი ვიცით, რომ ბ. ნიკოლაძეს არავითარი ცნობა და გაგება არ ჰქონია იმის, თუ როგორ გაჩნდა ხსენებული ოპოზიცია, რას აკეთებდა და რა ამბავი ხდებოდა ქუთაისში 1900 წ., თორემ, დარწმუნებული ვართ, მისი „ზნეობა იმის ნებასაც არ მისცემდა“ მას, რომ წარმოეთქვა ასეთი ყოვლად უსაფუძვლო ცილის წამება, რომელსაც სხვა არავითარი აზრი არა აქვს, გარდა ოპოზიციის გალანძღვისა და ჩირქის მოცხებისა.

მართალია, როდესაც ოპოზიცია უკვე მოქმედობდა და კრება რამდენიმე დღე უკვე გახსნილი იყო, კალ. ჩიკვაიძე „ამოეკვიატა“ ოპოზიციას, გარედან დახმარებას დაჰპირდა—ბ. ზდანოვიჩის გასაშავებლათ კენჭებს გიშოვითო, მაგრამ მაშინ, როდესაც ოპოზიცია შესდგა ჯერ კიდევ ადრე კრების (СЪЕЗДЪ-ის) გახსნამდის, შეიმუშავა კრებაზე სამოქმედო პროგრამმა, დაასახელა თავის კანდიდატათ ნ. ნიკოლაძე, ერთის თვის განმავლობაში კერძო კრებებს ჰმართავდა ჭიათურაში მომავალ კრებაზე განსახილველ საგნების შესასწავლათ,—მაშინ ბ. კ. ჩიკვაიძე სიზმარშიაც არავის მოლანდებია, მისი სახელიც არავის გაუგონია; და მერეც, როდესაც ბ. ჩიკვაიძე თავის ნებით „მიემხრო“ ოპოზიციას, მას არავითარი საქმე არ ჰქონდა ოპოზიციის მოქმედებასთან (რაიც არ იყო მარტო ბ. ზდანოვიჩის გაშავება), იგი მხოლოთ გარედან „დახმარებას“ დაჰპირდა ოპოზიციას კენჭის შოვნაში, და დაეხმარა ნამდვილათ თუ არა, ეს ალაჰმა უწყის.

ასეთი იყო საქმის ჭეშმარიტი გარემოება, რაც შეუძლია აღიაროს დღესაც ბევრმა ოპოზიციის მოწინააღმდეგე შავის ქვის მწარმოებელმაც.

მაშ რისთვის უწოდებს ბ. ნ. ნიკოლაძე ოპოზიციას კალ. ჩიკვაიძის დასს? რისთვის სწამებს ოპოზიციის წევრებს მოჭორებულს ცილის წამებას? მით, რომ ამ ოპოზიციის წევრებს, გარდა „პატიოსნებისა და გულკეთილობისა სხვა არავითარი თვისება არა აქვთ“, თვითონ-კი ბ. ნიკოლაძეა, დამსახურებულ [illegible], რომლის [illegible]

გასავალი აქვს, რომელსაც ყველაფერს დაუჯერებენ? მაგრამ როგორც „ცხოვრებაში გამოცდილს და კანონის მცოდნეს“ რათ დაავიწყდა ის უბრალო კანონი, რომ ტყუილს მოკლე ფეხები ასხია?!

რაც შეეხება იმას, ბ. ნიკოლაძე რომ ამბობს: შეუძლებლათ მიმაჩნდა, ინტელიგენციის და ბ. ზდანოვიჩის წინაამდეგ გამოვსულიყავიო, ამაზე ჩვენა რას ვიტყვით; სთქვან მათ, ვისაც პირ-და-პირ საქმე ჰქონდა ამ საგნის შესახებ ბ. ნიკოლაძესთან.

სამ. ფირცხალავა

უცხოეთის წვრილი ამბები

მეტად ძვირფასი ნივთები. ერთ ინგლისელ ჟურნალისტს ახირებული სურვილი მოსვლია: ისეთი მებელი უნდა მოვსძებნოო, რომელიც თავისის ღირებულობით ყოველსავე აღემატებაო. სთქვა და შეასრულა კიდეც სურვილი. ჯერ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები გადაუთელავს ამ ახირებულს ჟურნალისტს. ლორდ საკვილის სასახლეში შესანიშნავი კრავატია იაკობ I-ლის დროისა; მცოდნე კაცებს შეუფასებიათ 74 ათას მანეთად.

მეთორმეტე საუკუნის სკამები თითო 8,750 მანეთადაა შეფასებული, სულ ათი სკამია. აქვე დივანია ერთი 45 ათას მანეთად.

დიდი ხანი არაა, ჰერცოგ ზიდსმა ლუდოვიკო მე-XIV სტილის მშვენივრად შენახული ცალი სტოლი იყიდა 100 ათას მანეთად.

ამერიკაში კორნელი ვანდერბილდს ერთი ძველი შკაფი აქვს, რომელსაც მცოდნე კაცები 37 ათას მანეთად აფასებენ.

ყველაზე უფრო ძვირფასი როიალი ნიუ-იორკის მდიდარს მისტერ მიურანდსა ჰქონია დაჴლირს 100 ათას მანეთად.

ნეტა ერთი კაცმა ჰკითხოთ შემფასებლებს, რატომ 37,45,74 ათასად და არა უფრო მეტ ან ნაკლებად არ ჰღირან ის ნივთები? ამასა ჰქვია ახირებულობა, თორემ განა ეხლა ვერ გააკეთებენ სწორედ იმისთანებს, როგორც ის ძველი ნივთებია. გააკეთებენ, იქვი არაა, მაგრამ ისიც მართალია — ამისთანა საფასურს სიზმრადაც არ აფიქრებინებენ დღევანდელს მუშას, და რა გინდა იაფად დაუფასოს მყიდველს, მაინც გროშობით ივაჭრებს და ჩამოათლის ოსტატის ხელ-ფასს.

* *

ამერიკელ ყაჩაღების ხერხი. მონტანის დედაქალაქი ელენაა. ამ ქალაქის პოლიციის უფროსის ძმა ტრავესი ქალაქს გარედ გასულიყო თავისის სახლობით და საღამო ხანს შინისაკენ დაბრუნდა. ჯერ ქალაქს მოახლოვებული არ იყო, უეცრად იმისი ეტლი პირ-ჩამოფარებულმა კაცმა შეაჩერა და ორი რევოლვერი დაუმიზნა. ამ გვარად ეტლში მჯდომთ 24 დოლარი ფულად და რაც საათები ჰქონდათ—წაართვა.

ამ დროს ელექტრონის ტრამვაის ხმა მოისმა; აქ ისხდნენ 18 კაცი. ტრავესს იმედი მიეცა, მშველელნი გამოგვიჩნდნენო, მაგრამ ყაჩაღს გული არ შეუდრკა და მალე ხერხიც იღონა თავისს სარგებლობისა: ტრავესს საჩქაროდ წითელი ცხვირსახოცი მიაწოდა და უბრძანა სახე ისე დაემალა, ნამდვილ ყაჩაღს დამსგავსებოდა. ტრამვაიც მოახლოვდა, ნამდვილმა ყაჩაღმა გზა გადაუღობა და ორი რევოლვერი დაუმიზნა; მეეტლეს შეეშინდა, ვაგონი გააჩერა. ყაჩაღმა ნიშანი მისცა და ტრავესიც ვაგონში შევიდა, ყველას ჯიბე დაუცალიერა და ნაძარცვი თავის მბრძანებელს ჩააბარა. ვაგონს ანიშნა წასულიყო. ახლა ტრავესის სახლობას ანიშნა ეტლიდან გადმოსულიყო. ყაჩაღი ეტლში ჩაბრძანდა და დინჯად გზას გაუდგა.

ელენას მცხოვრებლები ეხლა თურმე იმას სწუხან ასეთი ახირებული შემთხვევა რატომ თვით პოლიციის უფროსს არ დაემართაო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 სექტემბერი

შიპკა. წმინდა ნიკოლოოზის მთებში აღლუმებია გამართული. უმთავრესი საგანია—შიპკას სიმაღლეებზე იერიში მიიტანონ. ჯარმა საუკეთესოდ შეასრულა თავის მოვალეობა. აღლუმებს დაესწრნენ: დიდი მთავარი, მთავარი ბოლგარიისა და გენერლები. პანაშვიდი გადაიხადეს რუსეთისა და ბოლგარელების იმ ჯარის კაცების სულის მოსახსენებლად, რომელთაც თავი შესწირეს ომის დროს.

ხარკოვი. დღის 12 საათსა და 40 წუთს საპასოვ სკოტს მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი უავგუსტოესის შვილებითურთ. რკინის გზის ბაქანზე მათ უდიდებულესობათ მიიღეს მთავრობის წარმომადგენელნი და მერე ქრისტე მაცხოვრის ეკლესიაში მიბრძანდნენ, აქ პარაკლისი მოისმინეს და მერე სალოცავში მიბრძანდნენ, სადაცმცირე პანაშვიდი იყო გადახდილი იმპერატორის ალექსანდრე მე-III სულის მოსახსენებლად. 1 საათსა და 7 წუთს მათი უდიდებულესობანი ყირიმს გაემგზავრნენ.

ექს-ლე-ბენი. დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე 16 სექტემბერს იტალიას წავიდა.

ტრინიდადი. ვენეცუელის გენერალის გელუტინი კარუპანოს განკარგულებით საფრანგეთის კაბელის მოსამსახურენი დაატუსაღეს. ამ საქმეში ჩარია საფრანგეთის საელჩოს აგენტი და ისიც დაატუსაღეს. ზღვის ნაპირა კაბელი გადაუჭრიათ; ჰფიქრობენ, ეს საქმე ვენეცუელას სამხედრო გემის „რესტა ურადორ“-ის საქმეაო. საფრანგეთის ელჩმა პროტესტი გამოაცხადა. ამის გამო საფრანგეთის სამხედრო გემს მოელიან აქ.

რიაზანი. შგიდ მაზრაში ანეულები მეტად გააფუჭა ჭიამ.

შაცკი. ანეულები ძლიერ გაფუჭდა; ზოგი მინდორი სრულებით შავად გამოიყურება; ახლად ამოსულიც ფუჭდება; ვერც წვიმებმა და ვერც სიცივეებმა ვერ შეაჩერეს ჭიის ძალა.

პეკინი. პეკინ-მანჯაიგუანის რკინის გზა ბუშინ გადასცეს ჩინეთს.

იოკაჰამა. ოდამარას ოლქში გრიგალმა ბევრი სახლი დაანგრია; ხუთასამდე კაცი დაიღუპა.

დანციგი. სარწმუნოების მინისტრად ყოფილი, დასავლეთ პრუსიის ობერ-პრეზიდენტი გოსლერი გარდაიცვალა.

ბელგრადი. ალბანელთა ავაზაკებმა იავორის მთებთან სერბიის სამზღვარი გადმოიარეს, ახლო მდებარე სახლებს დაეცნენ და ულიტროვიცელი ერთი გლეხი მოჰკლეს.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია: ლიგროინზე და სხვა ზეთზე, რომელიც საწვავ მასალად იხმარება, აგრეთვე ზოგ სატეხნიკო წარმოებაშიაც—აქციზი მოისპო.—ვარშავის გენერალ-გუბერნატორს უფლება მიეცა, როცა საჭიროდ დაინახავს, თავის ნებით დაჰხუროს უოველ გვარი ბიბლიოთეკა და საზოგადო სამკითხველოები პოლონეთის ყველა გუბერნიებში. —რა წესით უნდა წარადგინონ საპატიო მოქალაქის წოდებისა, თუ მედალის დასაჯილდოებლად. —რა წესით უნდა მიიღონ, გაუგზავნონ, მისცენ და გადაიხადონ ოქროსა და ვერცხლისაგან გაკეთებულ ნივთებზე დანიშნული ბაჟი.

18 სექტემბერი

სევასტოპოლი. დღეს, დილის 9 საათზე, ზარბაზნების გრიალმა აუწყა სებასტოპოლის მცხოვრებთ მათ უდიდებულესობათა სებასტოპოლში ჩამობრძანება უავგუსტოესის შვილებითურთ. დილას ცა მოღრუბლული იყო და ცოტათი წვიმდა; მაგრამ მათ უდიდებულესობათა მოსვლის წამს გამოიდარა და დათბა. მათ უდიდებულესობათ დიდის ამბით მიეგებნენ, შეგროვდნენ: ჯარების უფროსი გრაფ მუსინ-პუშკინი შტაბის აფიცრებით, შავი ზღვის ფლოტის უფროსი ადმირალებით, გრადონაჩალნიკი, ყველა ადგილობრივ დაწესებულებათა უფროსნი და უმაღლეს საზოგადოების მანდილოსნები. ყველანი ადტაცებით მიეგებნენ ძვირფას სტუმრებს. სადგურს გარშემო ეხვივნენ მოსწავლენი. ქალაქის მოურავმა მაქსიმოვმა პურ-მარილი მიართვა მის უდიდებულესობას. ადმირალის ტირტოვის მეუღლემ დედოფალს ვარდის კონა მიართვა. სადგურიდან მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ და გემ „შტანდარტ“-ზე ავიდნენ. ხალხი აღტაცებულის ყვირილით აცილებდა მათ უდიდებულესობათ.

ადესა. შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვის ძალით, გრადონაჩალნიკმა განკარგულება მოახდინა, რომ მცხოვრებთა საყურადღებოდ ყოველ დღე გამოაქვეყნონ საეჭვო გადამდებ სენით ავადმყოფთა შესახები ცნობები. დღეს გაზეთ „ვედომ. ოდესკ. გრადონაჩალნ.“-ში დაბეჭდილია: „28 მაისიდან 16 სექტემბერამდის ადესაში სულ 38 კაცი იყო ავად შავი ჭირით; ამათგან 13 გარდაიცვალა, 8 კაცი მორჩა და 17 კიდევ საავადმყოფოში არის.“

რიაზანი. ფრინველთა მოშენების საზოგადოების გამოფენა დაიხურა. ცუდი ამინდის გამო ეკსპონატი ცოტა იყო და გამოფენაც სუსტი.

ალჟირი. აქ მოვიდა აბრუცის ჰერცოგი. სამხედრო კლუბი დიდებულად მიეგება. საფრანგეთის უმთავრეს შტაბის უფროსმა სიტყვა მოახსენა და მოაგონა ის ბრძოლანი, რომლებშიაც საფრანგეთისა და იტალიის ჯარები ერთად იბრძოდნენ. უმთავრესად ის შეჩერდა სოლფერინოსთან ბრძოლაზე. ჰერცოგმა უპასუხა, რომ დიდათ კმაყოფილია სოლფერინოს ბრძოლის მოგონებით და მოწიწებით იხსენიებს იქ დახოცილ გმირთა სახელებს.

პარიზი. ზოლას ცოლმა შემდეგი განუმარტა მთავრობას: ღამით, როცა ცუდათ ვიგრძენ თავი, ქმარს ვსთხოვე, ფანჯარა გაეღო; ზოლა წამოდგა, მაგრამ მაშინვე დაეცა; ვერავის დაძახება ვერ მოვახერხე, რადგან გრძნობა დავკარგეო.

ლონდონი. აქაური გაზეთები, უმთავრესად „ტაიმს“-ი დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ ბურების გენერლები სცდილობენ იმპერატორის ვილჰელმის ნახვას. „ტაიმს“-ს არა სჯერა, რომ იმპერატორმა ისეთი რამ მოიქმედოს, რაც მთელ ბრიტანიის იმპერიის სასტიკ უკმაყოფილებას გამოიწვევს. „სტანდარტ“-ი აღნიშნავს, რომ იმპერატორისაგან ბურთა გენერლების მიღებას ისეთივე მნიშვნელობა ექნება, როგორიც იმ დეპეშას ჰქონდა, რომელიც 1896 წ. გაუგზავნა ვილჰელმმა კრიუგერს. თუ იმპერატორს ბურთა გენერლების ნახვა უნდა, ეს ჩვეულებრივის გზით უნდა მოხდეს, ე. ი. გენერლები ინგლისის ელჩმა უნდა წარუდგინოს იმპერატორს.

პარიზი. საქალაქო ლაბორატორიის დირექტორმა ზოლას გვამის გაჭრის შემდეგ გამოაცხადა, რომ ზოლა უეჭველია ნახშირ-მჟავის გაზმა მოჰკლა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა გრამოფონებით და ფონოგრაფებით სასულიერო პიესების შესრულება.

დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრესძე დროებით პეტერბურგიდან წავიდა და ჯარების უფროსობას მის დაბრუნებამდე ასრულებს ინფანტერიის გენერალი რებინდერი.

ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, ხელის მოწერით შეგროვდეს თანხა ტაშკენტში საკათედრო ტაძრის აშენებისათვის.

კორეა საშიშრად არის გამოცხადებული ხოლერის მხრით.

პეტერბურგის ბირჟა 17 სექტემბერს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,25
პარიზზე „	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465½ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	354½ მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	290½ გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	87¼ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	169

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

ტყიბულისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ბ. ბ. ამომრჩეველთ, რომ მის მიერ ამას წინად გამოცხადებულ ხმოსნების კანდიდატების სიაში, სტამბის შეცდომის გამო, მესამე საარჩევანო ნაწილის კანდიდატებში გამოტოვებულია კანდიდატი მესტიევი სოლომონ სტეფანესძე, რომელიც 40 ამომრჩეველმა დაასახელა, ხოლო პირველ საარჩევანო ნაწილის კანდიდატი ივანე ალექსისძე შადინოვი დასახელებულია 77 ამომრჩეველისაგან და არა 57, როგორც დაბეჭდილი იყო. (ნ. 1—1)

ცინკოგრაფია

ტიფნის. გამოცმ. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

დიდი ვერცხლის მედალი

ბაქ. ხარკოვ. 1901 წლის გამოფენა

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის

და

ამხანაგობისა

ბათუმში.

ფილხან ბამძღუმი და იაჯე სახურავი

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში გ. მულიარსკი

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში ვ. ჭილაძე

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(30—24)

[illegible]